სახალხო გაზეთი

№ 1007 ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი 1913 წ. № 1007

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კაუკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ზრომა"-ში, მუსრანის ქუჩა, და ეღირება 4 შაბეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ. და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

ტელეფონი № 12-29

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქს გარედ ღირს 2 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

სოფ. გარეჯვარში, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ილია სპირიდონის ძე განძიელი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ქვრივი გაიანე როსტომის ასული განძიელისა, შვილები: კნ. ნატალია ილიას ასული ჯავახიშვილისა** და **კნ. ელენე ილიას ასული საგინაშვილისა,** სიძეები: **თ-დ ალექსანდრე მიხეილის ძე საგინაშვილი** და **გიორგი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი.** დაკრძალვა სოფ. გარეჯვარში, გორის მაზრაში, 6 ამა ოქტომბერს. 660

ალექსანდრე და **ლევან როსტომის ძენი** და **ევა მიხეილის ასული კობახიძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვლებას სოფ. გარეჯვარში, პირველი ორის სიძისა და მესამესი—ძვირფასი დეიდაშვილის

ილია სპირიდონის მის განძიელისას,

დაკრძალვა განსვენებულისა **სოფ. გარეჯვარში,** (გორის მაზრა), 6 ოქტომბერს. 660

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდგენა 6—2

ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დას ის მიერ **ნ. ჩხეიძის ასულის** მონაწილეობითწარ მოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე

ლაბირინთი

პიესა 4 მოქ. ს. პოლიაკოვისა, თარგ. ა. იმედაშვილისა.

პიესა დაჯილდოვებულია ა. ი. ოსტროვსკის სახელობის ჯილდოთი. მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: პიერეტა, შოთაძის ასული, ჩაიძის ასული; ბ-ნნი: გუნია, ზარდალიშვილი, სარაული, ციციშვილი, შანშიაშვილი, ურუშაძე.

დასაწყ. საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** ადმინისტ ქართ. დრამატ. საზოგად

მზადდება წარმოსადგენად: „კულტურული მკლელობა", „მორევში", „უნიადაგონი" და სხ. 1473

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 3 ოქტომბერს, 1913 წ. გამართება

უკანასკნელი დღეები გასტროლისა საქვეყნოდ ცნობილის, ველოსიპედზე შეუდარებელის მოსიარულმის, ვირტუოზის **ჩარლეზ დიკისა,** რომელიც შეასრულებს იშვიათსა და გონებისათვის იუწყმოელ ნომრებს. სანახობათა-სანახობა! უდიდესი ატრაქციონი!

ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველაგან ფურორი! სენსაცია! აღტაცება! ტაშისცემა! ოთხ და ექვს საჯდომიან ველოსიპედზე „ტანდემ"-ზე ვარჯიში. ჩისტერ დიკი საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ „საბედისწერო გადახტომა"—სალტო-მორტალი ველოსიპედით, ცირკის თაღში განავარდება დატვირთულ ეტლზე. მოსკოვში აკვარიუმის ბაღში ჩისტერ დიკის გასტროლებს დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში მოსიარულე ხალხის რიცხვით აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვილეში! ამ საღამოსვე მონაწილეობს **„4 ეშმაკი"** და ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. გამოსვლა გამოჩენილი გიმნასტის და მოჯირითე ლამაზი ქალის **m-le ნაცისა.** დაწვრილებით აფიშებში, დღეისთვის კონტრამარკები არ გამოდგება.

გამოსვლა 4 ეშმაკისა მე-2 განყოფილებაში, რომელიც იწყება 9 ნახევარ საათზე, ჩესტერ დიკისა მე-3 განყოფილებაში, დასაწყისი 10 ნახევარ საათ.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ბანონს.: კვირას, 6 ოქტომბერს, დღისით გამოვლენ „4 ეშმაკი" ფასი—მოზრდილთათვის 10—40 კ., მოსწავლეთათვის 11—20 კ., ლოჟა 2 მ., გალერ. 5 კ. 661

ძ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

კვირას, 6 ოქტომბერს 1913 წ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სცენაზე

წმინდა ანტონის სასწაული

კომ. 2 მოქმ. მ. მეტერლინკისა.

II. **არივ-დარი** მხიარული ვოდევილი.

მონმწილეობას იღებენ: ქ-ნნი მარგ. გოგოლაშვილის ასული, კახელი, ნარაკიძისა, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: გ. ანაშვილი, ა. გუცუშვილი, გომელაური, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, თვალპრელიძე. ს. კავსაძე, ს. რომანიშვილი, რ. სალაყაია, სტურუა, ლ. სამადაშვილი, ნ. ჭანკვეტაძე, ნ. ჭუბაბურელი, ძიმისტარაშვილი და კ. ხახანაშვილი.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** ადგილების ფასი ₾ კ.—50 კ.

დასაწყისი საღ. 8½ ს ფარდის აწევის შემდეგ. თეატრის დარბაზში შესვლა აღკრძალულია. მცქეველი წარმოდგენა 6 ოქტომბერს. „წრის" ადმინისტრაცია. 1486

ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

საფაგრიკო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის,

ზამთრის სეზონის მოახლოვებისა გამო დანიშნულია

დიდი ვაჭრობა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგაზსენებთ, რომ **მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი რომელიც ძვირად არ იყიდება.**

1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

ამით აცხადებს წრის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 6 ოქტომბერს 1913 წ. დილის 11 საათზე ავლაბრის სახალხო თეატრში დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) სარევიზიო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის შემუშავება და 2) მიმდინარე საქმეები. 1490

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჰრაგიანცი

დ.ბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლიქი** და გულისა.- შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოთორაქსი. რენტგენის ელვა-სებური სხივებით ფილტვებისა და გულის გასინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიეგის ქუჩა, ხაკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სახტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ვ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიქანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. ვ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1 **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი ბ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათანიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორბელიანაშვილი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კანდ. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამი ოთახი ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე ოწოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და ხეზა. შეიძლებელი საჭასორით. წ. 1035

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 693.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდ. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. ბობოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. ვ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეორიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გახინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

ნამლოგა „606"-ით 1462

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **ოქროპაშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

კბილის ექიმი ა. ბ. სოლოლაშვილი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

ელექტრონის და რენტგენის საამკურნალო

მის. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაზინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ივ. გოგმართელი ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 054

ექიმი პ. ლ. ციკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ი. ზ. გაძელიშვილი სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 საათ. 19 თებერვლის ქ. (ერიყის ქ.) № 17, ტრამვაია გაანერებელთან, მიხიოსერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღება ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუბისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. ჩაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოდოობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu-ილებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

---

27 სექტემბერი, პარასკევს საღამოს,

დავკარგე

მე-5 საპოლიც. ნაწილში ტრამვაის მე-7 ნომერში **პორტფელი,** რომელშიაც იყო **მიწის ხუთი გეგმა, ნასყიდობის ქაღალდი** და **10 მინდობილობის ქაღალდი.** მპოვნელი ვსთხოვ, მოძიტანოს სასტუმროთ „თელავში", მეტეხის ციხის ძირში, კვეზერელი-კოპაძეს სახლი, **პეტრე გაბელიძეს.** მპოვნელი საჩუქარს მიიღებს. 669

ტერიტორიის საკითხი

2.

წინა წერილში ჩვენ შევეხეთ იმ საკითხს, თუ როგორა ცდილობდა ბიუროკრატია დაერღვია საქართველოს მთლიანობა და როგორა ჰსურდა ამნაირის საშუალებით თვით ქართველებში განემტკიცებინა ის აზრი, რომ საქართველო, როგორც მთლიანი ორგანიზმი, აღარ არსებობს. დავინახეთ, რომ სოციალ-დემოკრატების იდეოლოგებმა სიამოვნებით ჩასჭიდეს ხელი ამ გარემოებას და ერთხელ შეთვისებულ ყალბი პოზიციის გასამაგრებლად აღარ მოერიდნენ იმის გამოცხადებას, რომ ქართლი და კახეთი საქართველოს ორგანიული ნაწილი არ არისო. ბ-ნ ნარიძეს ისე მოსწონებია ეს აზრი, იმდენად აღარაფრად მიაჩნია ქართლი და კახეთი, რომ აცხადებს, ქართველების კულტურა იმერეთიდან მოდისო. ქართლი და კახეთი კულტურულადაც მოსპო. იგი ჩამოაშორა საქართველოს არა მხოლოდ ტერიტორიალურად, კულტურულადაც კი. არ ვიცით, ვის უტოვებს საჩუქრად ქართლსა და კახეთს ბ-ნი ნარიძე, მაგრამ ის კი მაინც ცხადია, რომ მის აზროვნებაში საქართველო აღარ არსებობს. რასაკვირველია დიდი უბედურება იქნებოდა, ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო. მაგრამ ჩვენდი საბედნიეროდ და ბ-ნ ნარიძისა და ბიუროკრატიის საუბედუროდ საქართველო არამც თუ არსებობს, იგი სწორედ ეხლა იჩენს თავის კულტურულ მთლიანობას, ჰგრძნობს პოლიტიკურ ერთობას და შეგნებულად ისახავს როგორც საერთო პოლიტიკურ იდეალს, ისე პრაქტიკულ პროგრამას ამ იდეალის განსახორციელებლად. საშიში იყო მდგომარეობა დღევანდლამდე, სანამ ეროვნული თვითშეგნება დაიბადებოდა, სანამ ჩვენი ხალხი ძილში იყო; მაგრამ ეხლა, როდესაც იგიც ითვისებს ცხოვრების ახალ პირობებით გამოწვეულ ბრძოლის საშუალებებს, როდესაც იგი ანვითარებს სასოფლო-მეურნეობას, ეწაფება ვაჭრობა-მრეწველობას, ეწაფება ვაჭრობა-მრეწველობას, როდესაც იგი ჰხდება აქტიური მონაწილე თანამედროვე ეკონომიური ქარტეხილისა,—ეხლა საშიში აღარაფერია და ამიტომ ბ-ნ ნარიძისთანა მწერლების წუწუნიც,—საქართველო აღარ არსებობსო,—უკბილო ბებრუკანის წუწუნს ღა წაგავს. ქართველი ხალხი ძალას იკრეფს, სიცოცხლის ნიშნები ემჩნევა და ამიტომ ბ-ნ ნარიძის სიტყვებიც ისე გაისმის, როგორც უკურნებელი სენით დაავადებული ავადმყოფის კრუსუნი. ბ-ნ ნარიძის სკეპტიციზმი ავადმყოფურია და ამასთანავე ერთად ნაშთია დაავადებულ ხანისა. საქართველოს ორგანიზმი კი სიცოცხლის ნიშნებს იჩენს და ამიტომ ვერას გზით ვერ შეეთვისება ისეთს ქადაგებას, რომელსაც იგი სამარისკენ მიჰყავს. სენისაგან განკურნებული ადამიანი წმინდა ჰაერისკენ ისწრაფვის; ვეღარავითარის ძალით ვერ დაამამთ ლოგინთან, რომელიც მას მთელის თავის არსებითა სძულს ❤ ეზიზღება. თუ ასეთია ფსიხოლოგია კერძო ადამიანისა, რანაირი უნდა იყოს მთელი ერისა? არ ვიცით, ჰგრძნობს თუ არა ბ-ნი ნარიძე, რანაირ ისტორიულ დანაშაულსა სჩადის ქართველ ხალხის წინაშე, როდესაც ამბობს, საქართველო მხოლოდ ქუთაისის გუბერნია ღა არის და ამიტომ არამც თუ უფლება, საშუალებაც არა გვაქვს რაიმე პოლიტიკურ იდეალზე ვიფიქროთო. ეს არის ქადაგება მესაფლავისა, ქადაგება ადამიანისა, რომელსაც ყოველ-გვარი რწმენა დაჰკარგვია და ეს თავისი სუბიექტიური რწმენა ჰსურს კისერზე მოახვიოს მთელ ხალხს, რომელიც სწორედ დღეს იჩენს ნიშნებს სიცოცხლისას. ეს უკვე პრინციპიალური მსჯელობა კი აღარ არის, ეს არ არის თეორეტიული გადაწყვეტა საკითხისა; ეს არის **სულიერი განწყობილება,** ამასთანავე ერთად ავადმყოფური, თავისი საკუთარი თავის უარის მყოფელი. ასეთი სულიერი განწყობილება შეიძლება დაებადოს მხოლოდ ისეთს ადამიანს, რომლის ნებისყოფა დაჩლუნგებულია და შეგნება თავისი ადამიანური ღირსებისა მოსპობილია. იგი ბრმა სტიქიონის მონადა ჰხდის თავის თავს და იმდენი ძალა და ღონე არა აქვს პირდაპირ შეხედოს ამ სტიქიონს, თვალი თვალს გაუყაროს და დაუპირისპირდეს მას, როგორც თვით-მცნობი და თვით-მხედველი ძალა.

იყო დრო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როდესაც სწორედ ასე უცქეროდნენ საქართველოს და მის პოლიტიკურ იდეალს. მათთვის საქართველო აღარ არსებობდა. ჩვენში გამეფებული ობიექტიური პირობები მათს აზროვნებაში ისეთს გარდაუვალ კედლად აღიმართა, რომ მისმა სიმძიმემ ფეხი მოსტეხა და ჩაუკლა ნების-ყოფა, ჩაუქრო ეროვნული სიცოცხლის ის მცირე ნაპერწკალიც კი, რომელიც სადღაც გულის სიღრმეში ჰღვივოდა. განმანადგურებელი ძალა ამ ობიექტიური პირობებისა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე წყურვილი სიცოცხლისა და ძალა, რომელიც ამ ობიექტიურ პირობებს უნდა წინააღდგომოდა. ამან დაჰბადა უიმედობა, უილაჯობა, რაც სათავეშივე ჰკლავდა მოქმედების სურვილსა და უნარს. იყო ასეთი დრო, მაგრამ იგი ისტორიას ჩაჰბარდა. ბ-ნ ნარიძის სულიერი განწყობილება ისტორიულ წიაღში დასამარებულ აზროვნების დაგვიანებული ამოძახილია. ამ საშიშსა და მავნებელ აზროვნებას ნიადაგი მოესპო, და თუ ჩვენ მაინც მივაქციეთ ყურადღება ბ-ნ ნარიძის ამ აზრს, მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვენახვებინა, რა ჯურის პუბლიცისტია ბ-ნი ნარიძე, რითი შეიძლება აიხსნას ბარბაროსული მტკიცება—საქართველო აღარ არსებობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვსთქვათ, სრულს ქუშმარიტებას ჰღალადებს ბ-ნი ნასიძე. ვსთქვათ, დღეს ისტორიული საქართველო აღარ არსებობს, ბ-ნ ნასიძის ტერმინოლოგიით, საქართველო აღარა ჰფარავს ქართველებს და ქართველები საქართველოს. როგორ მოჰხდა ესა? როგორ მოჰხდა, რომ საქართველოს საზღვრები თანდათან შეიზღუდა და ბოლოს იმ უბედურ დღესაც შევესწარით, რომ იძულებული გავხდით ქართლი და კახეთიც კი გამოგვერიცხა საქართველოდან? როგორ მოჰხდა ესა? ჩვენს დროში სასწაულები აღარავისა სწამს. მოვლენას უსათუოდ თავისი გამომწვევი მიზეზები უნდა ჰქონდეს? რა მიზეზებმა გამოიწვია ასეთი დეზორგანიზაცია ჩვენი ტერიტორიალური მთლიანობისა? მიზეზი ორნაირი შეიძლება იყოს? ან ჩვენი საცხოვრის ძალები იმდენად დასუსტებულა, რომ ვეღარ შეგვიძლიან ისტორიულად გადმოცემული ტერიტორია დავიცვათ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, გადაგვარების, ფიზიკურსა და სულიერი გადაშენების გზას ვადგვართ, ან ჩვენს წინაღმდეგ მოქმედებენ ისეთი ძალები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ჩვენს დეზორგანიზაციაში და ბრძოლის უკეთესი იარაღათაც არიან შეიარაღებულნი.

არა გვგონია პირველი მიზეზი დაასახელოს თუნდაც იმავ ბ-ნმა ნარიძემ. ეს იმას ემსგავსებოდა, რომ საჯაროდ ეღიარებინა, ქართველები გადაშენების გზას ადგანანო. ძალიან თამამი და თავხედი პუბლისტია ბ-ნი ნარიძე, მაგრამ ამისთანა მოსაზრებას საჯაროდ აინც ვერ გამოსთქვამს. დაგვრჩა მეორე მოსაზრება. თუ გარემოებამ ხელიდან გამოგვაცალა ქართლი და კახეთი და ქუთაისის გუბერნიის ანაბარას დაგვტოვა, ცხადია აქ მუშაობდა ისეთი ძალა, რომელიც დაინტერესებული იყო ჩვენს ეროვნულ დეზორგანიზაციაში; ალბად გარემოებაც ხელს უწყობდა. რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ძალა, თუ დროზე არ მოვედით გონს, თავის მუშაობას არ გაგრძელებს და ბოლოს ქუთაისის გუბერნიაშიაც არ დაარღვევს ეროვნულ-ტერიტორიალურ მთლიანობას? თუ ჩვენმა განმანადგურებელმა ძალებმა ამ გზით იარეს და ჩვენც ნება-ყოფლობით უკან-უკან დავიწიეთ, ქუთაისის გუბერნიაშიაც ის ბედი ეწვევა, რაც ქართლსა და კახეთს ეწვია.

როგორ უცქერის ბ-ნი ხასიძე ასეთს პერსპექტივას? იმას რომ დავუჯეროთ, გულ-ხელ-დაკრეფილი უნდა ვისხედეთ და ვუცადოთ ის ნეტარ დროს, როდესაც ქუთაისის გუბერნიაშიაც დაირღვევა ეს მთლიანობა, სამუდამოდ გამოგვეცლება ფეხიდან საფუძველი და გადავიქცევით ეროვნულ პროლეტარებად. ასეთი ბოლო მოელის საქართველოს ბ-ნ ნარიძის აზრით. შეიძლება ბევრმა იფიქროს, ბ-ნი ნარიძე რა შუამია, თუ თვით სინამდვილეს ჩვენ აქეთკენ მივყევართო. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ფაქტი აღვნიშნოთო. მართალი იქნებოდა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული გაპროლეტარება შედეგი იქნებოდა არა გარეშე პიროობებისა, აოამედ თვით ჩვენი სასიცოცხლო ძალების დაშრეტისა, გახოწნისა. მაშინ ბ-ნმა ნარიძემ უპირველესად ყოვლისა უნდა დაამტკიცოს, რომ ჩვენ გადაგვარების გზას ვადგვართ, რომ ჩვენი ცხოვრება წინ კი არ მიდის, უკან მიდის, რომ ჩვენი ორგანიზმი იმდენად დაავადებულია, რომ არავითარ წინმსვლელობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. თუ ეს ასე არ არის, მაშინ მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს იქითკენ, რომ განმანადგურებელ ძალთა იერიშები მოვიგერიოთ, დავიცვათ ჩვენი თავი დეზორგანიზაციისაგან. ეს არის მთავარი პროგრამა ქართველი ხალხისა. სხვა საკითხები და მათ შორის ტერიტორიის საკითხიც არის ერთი მუხლთაგანი ამ მთავარ პროგრამისა.

არ. ჯ—შვილი.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ მეფის მოადგილის თანაშემწეს, სენატორ ვატაცის პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ **სანოვაგის გადამზიდველი მატარებელი** ცივადი **ჩასულა პეტერბურგს** და ჩაუტანია საუცხოოდ შენახული აქაური სანოვაგე, მწვანილეულობა, ხილი და ბათომის ყვავილები.

✦ 1 ოქტომბრს არტისტიულ საზოგადოების საზაფხულო შენობაში **გაიხსნა კავკასიის მეხილეობის საზოგადოების მიერ მოწყობილი მეხილეობის გამოფენა.** პარაკლისის შემდეგ სენატორმა ვატაცემ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღნიშნა ადგილობრივ მეხილეობის მნიშვნელობა და ის პროგრესი, რომელიც ეტყობა უკანასკნელ წლებში ამ დარგს. შემდეგ ექსპონატები აკურთხეს და გამოფენა ოფიციალურად გაიხსნა. დღესასწაულს დაესწრო ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. კ. აფხაზი. გამოფენის ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

✦ დეპეშათა პეტერ. საagენტოს ატყობინებენ ზუგდიდიდან: გადაიწვა **დაბა დარჩელიო.**

✦ სოხუმში გარდაცვლილმა საზლისპატრონმა ადგილობრივ **ჭლექის** წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებას დაუტოვა უძრავი ქონება **ორას ათას მანეთად** ღირებული.

✦ **ტრამვაის** მოსამსახურეთა და ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებულის რობის შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სამკურნალო დახმარების მოწყობის გამო ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა დირექციასთან საკუთარი საავადმყოფო დაარსდეს. ამ ჟამად უთანხმოებას იწვევს ახალი საკითხი: მოსამსახურენი თხოულობენ ჯამაგირის 10% მომატებას, ხოლო უსახელო საზოგადოების რწმუნებული თანახმაა. მოუმატოს მათ მხოლოდ 5%.

✦ **უმაღლეს სასწავლებლის საჭიროებისთვის** ნ. გ. ტერ-კაზაროვისმ ქალაქის თვითმართველობას ანდერძით დაუტოვა 2,000 მან. ბოლოს გამოირკვა, რომ ფულის რაოდენობა ძხოლოდ 1,600 მან. არის. განსვენებულის ნების აღმსრულებლები ქალაქის თვითმართველობას შეეკითხნენ, ახლავე მიიღებთ ამ ფულს, თუ მაშინ, როდესაც თავის სარგებლით 2,000 მანეთად შესრულდებაო. ქალაქის საბჭომ დაადგინა, ფული ახლავ ჩაიბაროს.

✦ ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის დადგენილება, რომლითაც მაჰმადიანთა საქალაქო სასწავლებელში პარალელური განყოფილება უნდა გაიხსნას.

✦ ტფილისში სკრიდან, ავსარქისოვის ბაღიდან, ჩამოიტანეს **570 ფუთი ვაშლი,** რომელსაც ქალაქის სასალახოს საყინულე განყოფილებაში შეინახავენ და ერთი-ორის თვის შემდეგ საყინულე მატარებლით მოსკოვსა და პეტერბურგს გაჰგზავნიან. იმავ ბაღიდან მოელიან ატამსაც.

✦ **სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის** 1 ოქტომბერს ქალაქის ეორე უბანში 14 ოქმი შეადგინეს და დამნაშავენი სამართალში მისცეს.

✦ **უვარგისი თევზი.** ამ ბოლო ხანს ქალაქში დიდძალი თევზეულობა შემოვიდა. ბევრგან თევზი უკვე გაფუჭებულია, მაგრამ ვაკრები მაინც ჰყიდიან გულუბრყვილო ხალხზე. ამ დღეებში ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურეებმა დიდძალი უვარგისი იშხანი, ხრამული და სხვა თევზეულება აღმოაჩინეს და მოსპეს.

✦ **ფრინველთა მეშვიდე გამოფენის** მომწყობმა კომიტეტმა ქალაქის გამგეობას სთხოვა, პრემია დანიშნოს საუკეთესო ექსპონატების პატრონებისათის, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დანიშნოს პრემიად ერთი ყეტონი, რომელიც მიეცემა ადგილობრივ ჯიშის ქათმის პატრონს.

✦ **ქალაქის ლომბარდის გამგის** არჩევა დანიშნულია მომავალ ორშაბათისთვის.

✦ **სასმელ წყლის ძებნაში.** ქალაქის გამგეობის მაერ დანიშნულმა კომისიამ უკვე მოიარა ბალახაური (დუშეთის მაზრა) და წყაროები დაათვალიერა. კომისიაში იყვნენ: ქალაქის გამგეობის წევრნი თ-დნი ა. მ. და ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვები და ქალაქის ინჟენერები: ბაბოვი, ქურდიანი, მუხრანსკი და ლისიციანი. კომისიას მშვენიერი წყაროები აღმოუჩენია სოფ. ბალახაურში, ხიმშიაშვილების მამულში, წყაროები მდებარეობენ 30 ვერსის მანძილზე ტფილისიდან. ის ადგილი, სადაც წყაროებია, ტფილისში მაღალი ყოფილა 56 საჟენით რის გამოც იქიდან ტფილისში წყალის ჩამოყვანა ძალიან ადვილია მილებით. ეს მილები გაივლის საზოგადო გზაზე და კერძო მესაკუთრეთა მიწების ჩამორთმევა საჭირო არ იქნება, წყალს მშვენიერი გემო ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ წელს დიდი გვალვა იდგა, წყაროები დღე-ღამეში 4-5 მილიონ ვედრა წყალს იძლევიან, რაც სრულიად საკმარისია ტფილისისთვის.

✦ **რედაქციამ მიიღო ჟურნალი „სასოფლო გაზეთის № 43** შემდეგის შინაარსით. ილია წინამძღვრიშვილი პეტრე წულუკიძისა. იშვიათი დღესასწაული ნ. კალანდაძისა. მოგონება ილია წინამძღვრიშვილისა ნიკიტის სასწავლებელში მოსვლის გამო ალ. შარაშიძისა. ილია წინამძღვრიშვილის იუბილეს გამო ჩიტოსი. ანტროკნოზი და მ. სი წამლობა. ე. ფ. ჟანისა. კოლო და უქმური ექ. ევ. ლოსაბერიძისა. მებოსტნეობა—ნიახური ალ. შარაშიძისა. მოაშენეთ ჩაი (გურიის მეურნეთა საყურადღებოდ) ოზურგეთის ჩაის ქარხანა წერილი გურიიდან №-სა. სოფლების უნუგეშო მდგომარეობა არ. ფანლაიასა. მეფუტკრეობა გურიაში გ. ლომთათიძისა. ქრონიკა. გამოსადეგი ცნობები. წერილი რედაქციის მიმართ. მეტეოროლოგიური სადგურის გამოკვლევა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება 30 სექტემბერს მოხდა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც წინა კრებაზე შეტანილ შეკითხვის პასუხად ხმოსნებს ცნობები გადასცა ვერის პარკის მდგომარეობის შესახებ. ხმოსნები ამ ცნობებით არ დაკმაყოფილდნენ და დაავალეს ქალაქის გამგეობას, მომავალ ორშაბათისთვის წარმოუდგინოს საბჭოს ვრცელი მოხსენება, როგორც ვერის პარკის მდგომარეობისა, ისე მტკვრის ნაპირას ქვიძის გაყიდვის შესახებ. ამის შემდეგ საბჭომ დაადგინა: 1) გადასდოს 300 მან. წითელის ჯვრის საზოგადოების ამბულატორიისთვის, რომელსაც ნავთლულში აარსებენ, 2) გადასდოს ერთის კვირით ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების 1913 წლ. ხარჯთაღრიცხვის განხილვა, 3) სთხოვოს მ. ი. სვეშნიკოვს, კვლავ დარჩეს ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსხო კომისიის თავმჯდომარედ, 4) დაევალოს ქალაქის გამგეობასა და ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას, შეადგინონ მოხსენება მეშის ვაკრობის მოწესრიგების შესახებ და 5) გადასდოს 1,000 მან. სამშობიარო თავშესაფარის საჭიროებისათვის.

სასწავლებლებში

✦ როგორც ვწერდით, განზრახულია ტფილისში დააარსონ **დედათა სამასწავლებლო ინსტიტუტი.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ინსტიტუტს 1,500 ოთხკუთხი საჟენი მიწა დაუთმოს ნავთლულში. ქალაქის საბჭომ განიხილა ეს დადგენილება და დაავალა ქალაქის გამგეობას, შეეკითხოს ამ საკითხის გადაწყეტამდე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ნ. ფ. რუდოლფს, განზრახულ ინსტიტუტში ადგილობრივ ენების სწავლება იქნება თუ არა.

დღიური

წინაააღმდეგობათა გზაზე.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მრავალის წინააღმდეგობითაა სავსე. აქ სახეში არა მაქვს საერთოდ ადამიანის სულიერი ბუნების თვისება, რომელიც ხშირად ერთად ათავსებს მაღალს კეთილშობილურს მისწრაფებას და უკიდურეს სიმდაბლეს ხნეობრივს. არც ძინდა აქ აღვნიშნო ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური შეუთანხმლობა. არა, მე ვამბობ მხოლოდ ჩვენი ეროვნულის მდგომარეობის წინააღმდეგობათა შესახებ.

ჩვენში, მაგალითად, შეხვდებით განათლებულს ქართველს, გულწრფელს პატიოსან ადამიანს, თავის ერის ერთგულს მოყვარეს, რომელსაც სიცოცხლე გამწარებია სამშობლოს გულისათვის და ამავე დროს ის ვერ მოუხერხებია, რომ საკუთარი შვილები გადაგვარებისაგან იხსნას და ნამდვილ მამულიშვილებად აღზარდოს. ბევრჯერ მინახავს, როგორ გაცხარებულად უმტკიცებენ ერთმანეთს ჩვენებური ინტელიგენტები, რომ აუცილებლივ საჭიროა უცხო ტერმინების მაგიერ წმინდა ქართული შემოვიღოთო, და თვითონ კი ამ ცხარე კამათის დროს ერთი სიტყვა არ წამოსცდენიათ ქართულ ენაზე. ვის არ გაუგონია საარაკო ამბავი ქართველის ჩვეულებრივი საზოგადო მოღვაწისა, რომელიც თავის სიძულვილს ტრისადმი გულგაშლილ მასპინძლობად და უხვ სტუმართ-მოყვარეობად შესცვლის ხოლმე?

რა არის ამის მიზეზი? რასაკვირველია, პასუხი ადვილი მისაგებია. ყველაფრის ამის დედა მიზეზი ჩვენი ეროვნული მოუწყობლობაა, ეროვნული დაჩაგრულობა, თვით არსებობის უქონლობა. ვერც ერთი მოვლენა ჩვენი ცხოვრებისა, კერძოსი თუ საზოგადოსი, ვერ ასცდება ჩვენი ერის დღევანდელი პოლიტიკური ვითარების გავლენას. არა თუ მწერლობა, მხატვრობა, ყოველგვარი სულიერი შემოქმედება განიცდის ამ ვითარების მძლავრს გავლენას, მითვია გამსჭვალული მთელი ჩვენი ეკონომიური ცხოვრება და ასე წარმოიდგინეთ ისეთი განკერძოებული ურთიერთობაც, როგორიცაა ცოლქმრობა. მე ღრმად მრწამს პირადად, რომ მკვდარი ბუნებაც კი არ წარმოადგენს აქ გამონაკლისს და ჩვენი მშვენიერი სამშობლოს ყვავილი არ ჰყვავის, მდელო არაა შემოსილი ღიმილით, ცა არაა მოკაშკაშებული ისე, როგორც იქნებოდა სხვა დროს.

თამამად შეგვიძლია ყოველი გასაჭირის, უბედურების დროს განვიმეოროთ სულ ერთი და იგივე: ceterum censeo, ე. ი. ჩვენ ერთი რამ გვაკლია, და ეს ერთი ყველაფერია. ვიდრე ჩვენს ხელთ არ იქნება ჩვენი შინაური საქმეების მოწესრიგება, მანამდე ყოვლი ჩვენი ცდა იქნება სუსტი, საქმე უფერული, შემოქმედება უძლური. ვერც ერთს საზოგადო დაწესებულებას ვერ ავაყვავებთ, ვერც ერთს დიდებულ ადამიანს, გენიოსის ნიჭით აღბეჭდილს ვერ წარმოვშობთ, ვერც ერთს აქტს, მოქმედებას ვერ აღვნიშნავთ ისტორიის ფურცლებზე. მონები, როგორის სახელითაც უნდა მოვნათლოთ ისინი, არასოდეს არ ცხოვრობენ; არ ცხოვრობენ, რადგანაც ცხოვრება უბრალო სუნთქვა კი არაა, ცხოვრება სმა-ჭამა კი არაა, ძილი და გამოღვიძება, ხილვა და ხელის შეხება—ცხოვრება ნებისყოფაა და მით უფრო ძლიერია ცხოვრება, მდიდარია და ნაყოფიერი, რამდენადაც ძლიერია ნება.

რა ცხოვრება აქვს ადამიანს, რომელსაც ნების ნასახი არ გააჩნია და რომლის არსებობა ან სხვისი უნებური მიბაძვაა ან სხვისი ნაბრძანების, ნაკარნახევის შესრულება? აქ ხომ ნება მკვდარია, აქ ხომ პიროვნება არაა, აქ ხომ შემოქმედება სდუმს? აქ არაა უბრალო ცხოველობაც, ვინაიდან უკანასკნელისთვისაც საჭიროა ცოტაოდენი ნებისყოფა, და სამართლიანად ამბობენ, რომ ეროვნული არსებობის მოსპობას, ეროვნულს გადაგვარებას თან მოსდევს ფიზიკური გადაშენებაც. ამის დასამტკიცებლად საჭირო არაა შორს წასვლა, მიმოიხედეთ გარშემო და დააკვირდით დღევანდელი ქართველის სახეს: რამდენად ჩამოქვეითდა სილამაზის, მიმზიდველობის, კეთილშობილ მეტყველების მხრით სახე იმისა, რომელიც ოდესღაც მშვენიერების ხატებად ითვლებოდა დედამიწაზე!

სულს მოჰკვეთეს ნება, სული დაეცა, დაბეჩავდა და სახეც—მისი სარკე, მისი გამომსახველი—გაირყვნა, დაუშნოვდა და აღარაა საყვარელი. ვერავინ დაგვისახელებს დიდებულს პიროვნებას, რომლის სიდიადე ჩვენ არ წავიკითხოთ მისივე სურათზე. სახით მახინჯები სულითაც მახინჯები არიან. ინგლისელების სიამაყეს და ხასიათის სიმტკიცეს მათივე სახე მეტყველობს; ბეტჰოვენის იდუმალი მუსიკის ჰანგები მისი თვალებიდან მოისმის; და რომ თამარი ღვთის სწორი იყო, განა ამას არ გვიმტკიცებს მისი ხატი? ეს შეურყეველი კანონია და ნურავინ მიგვითითებს რამდენსამე გამონაკლისზე, რამდენსამე ამის საწინააღმდეგო მაგალითს ნუ დაგვისახელებს.

ცხოვრება ნების-ყოფაა, ცხოვრება შემოქმედებაა, ცხოვრება ადამიანის ცხოველი გაპიროვნებაა. ვისაც უნდა ცხოვრება, უნდა იყოს თავისუფალიც, ნების პატრონი, თავის ნებისა აღმასრულებელი. ეს საანბანო ქუშმარიტებაა, მეტყვიან: ეს ძველი ამბავიაო; ეს გვსმენია, გაგვიგონია ათასჯერო. დიახ, ეს ძველის-ძველი მცნებაა, ათასჯერ გაგონილი, მაგრამ ათასჯერვე დავიწყებული. თუ მითქვამს, კიდევ ვიტყვი და კვლავ ვიტყვი: ჩვენ არ განვიცდით სავსებით ჩვენ ეხლანდელს მდგომარეობას, არ მოგვეპოვება შეგნება ამის საშინელებისა. ჩვენ ვხედავთ ვარდის წყლით მკრთალად მოფერადებულს მოვლენებს, მაგრამ არ ვხედავთ შავად მოფენილს გლოვის ფლასებს, არა ვგრძნობთ სქლად ჩამოწოლილს შავ ღრუბლებს. ამით არა ვკმაყოფილდებით და ხშირად ფილოსოფიურს თეორიებს ვქმნით ჩვენის არსებობის გასამართლებლად, ოდნავ გამოფხიზლებული სულის მისაყუჩებლად.

არის ჩვენში ეროვნული ცხოვრება? თუ არის, რად ვმოქმედობთ ამის საწინააღმდეგოდ? თუ არის შეგნება ეროვნულის არსებობისა, სადაა ნება ამის განმახორციელებელი? თუ არის რწმენა, სადაა სალოცავი ამ რწმენისა? თუ გვყავს ღმერთი, რად არ ვსცემთ თაყვანს? თუ არის აზრი, როდის ღა შეისხამს ხორცს? სადაა ხსნა ამ წინააღმდეგობიდან? სადაა იდეალი, სადაა ერი, როგორც მთლიანი სინამდვილე?

სიტყვა.

არჩილის ხსოვნას

გავიდა ექვსი თვე... ექვსი წუთი ჩვენის სიცოცხლისა. გუშინ არ დავსამარეთ ჩვენი არჩილი, გუშინ არ ვღვრიდით კრემლებს? „არ გაგვცვეთია ჯერ ფეხსაცმელი, რომლითაც ჩვენ, კრემლის მფრქვეველნი, მივსდევდით კუბოს...“ და უკვე ცხოვრებაში ჩავერთეთ. ცხოვრებამ თავისი ულმობელი ხელი ჩაგვჭიდა და ჩაგვითრია თავის ფერხულში. ინება და კრემლი თვალებზე შეგვაშორა; მოისურვა და ჩვენს ბაგეზე ღიმილი გამოიწვია, აგვათამაშა, პაიკებივით ხან აქ გადაგვსვა, ხან იქ... მაგრამ ვერ წარსწყმიდა ჩვენი ხსოვნა და ეს ნათელი პირადობა თვალწინ გვიდგას, ყოველივე მის სიტყვას ვიხსენიებთ, ვცდილობთ მისი ანდერძი აღვასრულოთ. გულის ფანქალით მოველით მისი „შეთანხმების იმედის“ აღსრულებას, მაგრამ ულმობელი ცხოვრება სულ სხვას გვიკარნახებს, სულ სხვას გვიჩვენებს... და ჩვენც ვიტანჯებით ერთად ჩვენის მეგობრის სულთან...

ერთი მისი უკანასკნელი სიტყვა შემდეგი იყო: „რას დამტრიალებთ თავზე, რას დამკანკალებთ! არა გრცხვენიანთ, ნუ გეშინთ! ვიდრე ყოველი ქართველი არ შეიგნებს, არ შეისისხლხორცებს იმ აზრს, რომ სიკვდილი ისეთივე ბუნებრივი, ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც სიცოცხლე, ვიდრე ამ ჩვენის ცხოვრების გარდაცვლას სრულის მოთმინებით არ მოვეკიდებით, ვიდრე სავსებით არ შევურიგდებით მას, მანამდე ჩვენი ხსნა არ შეიძლება“-ო. მართალია და ქუშმარიტი, სრული სიბრძნით აღსავსეა ეს სიტყვები და წინასწარმეტყველურის გაბედულებით. მართლაც რა არის სიკვდილი, თუ არ ერთი ეტაპი, ერთი საფეხური ჩვენის ცხოვრებისა? სიკვდილი გარდაცვლაა, როგორც ამბობს ჩვენი ენა, და, კაცმა უნდა სთქვას, ღრმა ფილოსოფიურადაც გამოსახავს ამ მოვლენას. ჩვენ „გარდვიცვლებით“, რად, როგორ? ეგ არავინ იცის, მაგის თქმა არვის შეუძლია, ხოლო ჩვენი მატერია, ის ნივთი, რომლისგანაც ჩვენი სხეული შესდგება, არ იკარგება; არ შეიძლება, რომ დაიკარგოს ჩვენი ფსიხიკა, ჩვენი გონება, ჩვენი აზრი?—არ ვიცით, რა ემართება. მის შესახებ არ შეგვიძლია ვსთქვათ კათეგორიულად, რომ იგი არ იკარგება, ვერც იმას ვიტყვით გადაკრით, რომ იკარგება; არა ვიცით-რა?

ვიცით მხოლოდ ერთი: სიკვდილი, სრულად ბუნებრივი, სრულიად ჩვეულებრივი და მიუცილებელი მოვლენაც არის, როცა ადამიანი ჰკარგავ სიყმაწვილეს, ჰკარგავ ძალონეს, კარგავ სიმშვენიერეს, რომელიც განუყრელია სიყრმესა და ჯანსაღობასთან, როცა გეკარგება, ხელიდან გეცლება უკანასკნელი ნავთსადგური — გონიერება, სიმკვირცხლე და ვნება ნიჭისა—სიკვდილი სანატრელია, ვითა „ადგილი განსასვენებელი, ადგილი მწვანილოვანი, სადაც არა არს არცა ჭირი, არცა ურვა, არცა სულთქმა“.

ცხადია, სიცოცხლე დიდად სანატრელი რამ არის, სიცოცხლე უდიდესი ბედნიერება არის. მისი უარყოფა არვის არ შეუძლია, არვის არ აქვს ნება მას გვერდი უქციოს, ზურგი შეუბრუნოს. წინააღმდეგ, მის გაღრმავებას, მის გალამაზებას, მის გაღონიერებას უნდა შევალიოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე. კაცმა ყოველივე უბედურება, ყოველივე მარცხი, ყოველივე დაბრკოლება მოთმინებით უნდა გადაიტანოს თუ კი სიცოცხლე აქვს, თუ კი ცხოვრების ალი ჩაბმული.

კაცმა შეიძლება დაჰკარგოს ქონება, დაჰკარგოს მახლობლები, საყვარლები, კაცს, შეიძლება, ბრმა შემთხვევამ დანაშაულიც ჩაადენინოს —მაგრამ სულით მაინც არ უნდა დაეცეს. უნდა ეცადოს სძლიოს შემთხვევა, ამაღლდეს, ადამიანობა კვლავ მოიპოვოს...

ყველა ეს შესაძლებელია მაშინ, თუ შენს სიცოცხლეს, თუ შენს ცხოვრებას რაიმე შუქი ანათებს, ავარაყებს, რაიმე მიზანი აქვს მას, რაიმე იდეალით არის იგი გამსჭვალული. და აი ბრძოლა იდეალისათვის უნდა იყოს შენი ცხოვრების წამახალისებელი; დაუღალავი შრომა იდეალის განხორციელებისათვის უნდა იყოს შენი ყავარჯენი. შენი სასოება, შენი იმედი. ამ იდეალის დასაყარებლად არ უნდა დაზოგო თვით უდიდესი სამკაული შენის არსებობისა, შენი სიცოცხლე: სიკვდილი უნდა მიგაჩნდეს არარად ამ იდეალის მისაღწევად. უკანასკნელი შენი სულის ამოთქმა ამ იდეალს უნდა ევლებოდეს თავს, უკანასკნელმა შენმა სიტყვამ შენი არსებობის დედა აზრი უნდა გამოსთქვას, უკანასკნელი შენი ამოკვნესა ამ აზრს უნდა დასტრიალებდეს. ვისაც აქვს ასეთი იდეალი, ვისაც აქვს ცხოვრების საგანი, მისთვის სიკვდილი უბრალო მოვლენაა, „გარდაცვლაა“, გარდაბადებაა; მისთვის სიკვდილი ძლეულია, მისთვის სიკვდილი სიცოცხლის გაგრძელებაა, მისთვის სიკვდილ-სიცოცხლე ერთ დონეზე სდგას, ერთნაირი ღირებულება აქვს; იგი კვდება იმ აზრით, იმ გრძნობით გაჟღენთილი, მისი უკანასკნელი ღიმილი, რომელიც მარადისობის მშვენიერ ლეჩაქით მობურულია, რომელიც საუკუნო ლუსკუმის ღიმილად იქცევა—ეკუთვნის მას რაც მისი სიცოცხლის წყარო იყო და სიკვდილთან შემარიგებელი.

მხოლოდ ამგვარის იდეალით გაცისკროვნებულ ადამიანს შეეძლო ისე თამამად, ისე გულღიად, ისეთის სტუმართმოყვარეობით შეგებებოდა სიკვდილს: „ნუღარ მტანჯავთ, აღარა მეშვილება რა სასიცოცხლოდ, დამანებეთ — განვისვენო, მოვისვენო, მომბეზრდა ტყუილა წამებაო“ და ერთი კრინტიც, ერთი ხაზიც არ იყო სასოწარკვეთილებისა ამ სიტყვებში. ხანგრძლივ დაუღალავ შრომის ჯილდოდ იგი თხოულობდა დასვენებას და, რაც უფრო მალე დადგებოდა ეს ხანა, მით უფრო სანატრელი იყო მისთვის... ჩვენ კი მის ყოველ წუთს შევნატროდით... ვინც ეს წუთები ნახა, მან იცის, რომ ჩვენ შემცდარი ვიყავით და არჩილი მართალი... არჩილი მკვდარი ბევრად უფრო სასიამოვნო, გულის დამამშვიდებელი, აღშფოთებულ გრძნობათა დამაამებელი იყო, ვიდრე არჩილი სიკვდილ-სიცოცხლის შორის გამწვავებულ ომის უნებლიეთი მოწმე. მას, მუშაკს დიადის, სიცოცხლის წამახალისებელის იდეალისას. სიკვდილ-სიცოცხლე უნდოდა მოერიგებია, უნდოდა თავისი სიცოცხლე სიკვდილად უტანჯავად გარდაექცია, უბრძოლველად გარდაცვლილიყო, რაკი აედავდა, რომ ბრძოლა უნიადაგო იყო; მას ესმოდა ბრძოლა თავისი სიცოცხლის აზრის მტერთან და არა სწადდა ბრძოლა უგუნური, დიადის უძლეველი ბუნების ძალის წინააღმდეგ. იგი კარგად გრძნობდა, რომ მისი სიკვდილი მისი მკვდრეთით აღდგომა იქმნებოდა, რომ მისი სიკვდილით მისი ახალი ცხოვრება იწყებოდა: მის აზრთა და გრძნობათა განვითარება, ამ გრძნობათა და აზრთა გავრცელება, მათი ფესვების მოდგმა მთელის ჩვენი ერის გულში.. და ეს ასეც მოხდება.

ნეტარ არს იგი ვისთვისაც ცხოვრების „უღელი ტკბილ იყო, და ტვირთი მისი სუბუქ“.

კიტა აბაშიძე.

მეცხვარეობა თუშეთში

ტფილისის გუბერნიაში მცხოვრები მთიული ქართველები, თუშეთიდან ყოველწლივ მიემგზავრებიან თავისი ცხვრების ვეებერთელა ფარებით თავისუფალ ალბაის საბალახოებისაკენ, ყარსის ოლქში. ყოველწლივ იქით გარეკილ ცხვრის რაოდენობა 600,000 აღემატება.

ძველიდანვე თუშები მისდევენ პატრიარქალურ მეჯოგურ ცხოვრებას. სამშობლოში ძლიერი სიცხეებისა და საზაფხულო საბალახოების უქონლობის გამო, ისინი იძულებულნი არიან შორს, სამშობლოს გარეშე, ეძიონ საკვები თავის ცხვრისათვის; მიდიან განშორებულ მაღლობებისაკენ ყარსის ოლქში; ეს ადგილები სავსეა ბალახით, უხვადაა დაფარული მწვანით თავისუფალი მაღლობები. ასეთი მოგზაურობა თუშებს გარკვეულ „ჯულტად“ გადაექცათ და მათს ყოფა-ცხოვრებაში თვალსაჩინო ალაგი უჭირავს. ჯერ კიდევ ოსმალების მფლობელობის დროს, რამდენიმე საუკუნის წინად, შემოღებული იყო ასეთი ჩვეულება: თუშების წინაპრები, როგორც ეხლა მათი შვილები და შვილიშვილები, გადადიოდნენ ეხლანდელ ყარსის ოლქის მაზრებში თავისი ფარებით, რაც მათ ერთადერთ სიმდიდრეს შეადგენს. მათ დანიშნული ჰქონდათ განსაზღვრული ადგილები საბალახოებად. მათი მომთაბარე ცხოვრების მკაცრი პირობები ეხლაც ისეთივეა, როგორც ასი

წლის წინად იყო; მაგრამ, სამწუხაროდ, თვით მეცხვარეობის პირობები კი ძლერ ცუდად შეიცვალა, სამეკვიდრეო საბალახოები კი ყოველ წლივ მცირდება. ეს გარემოებაც, რასაკვირველია, იწვევს თუშებში ცხვრების რიცხვის შემცირებას და ართმევს მათ საჭირო შემოსავალს, ურომლისოდაც მეცხვარეობის მიმდევრობას არავითარი აზრი არ აქვს.

საამდროვო უსაჭიროეს მოთხოვნილებად თუშები სთვლიან რამდენიმე საჭირბოროტო საკითხს, რომელთა გადაწყვეტას ისინი რამდენიმე ათი წელიწადი- მოელიან, როგორც ციურ მანანას. უპირველეს ყოვლისა მათ ესაჭიროებათ ისეთი წესის შემოღება, რომ სახაზინო საბალახოები გადაეცეთ მათ პირდაპირ ხაზინიდან, ცოტად თუ ბევრად, გრძელი ვადით. ეს ღონისძიება გაანთავისუფლებს მათ ადგილობრივ მცხოვრებთა თვითნებობისაგან. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელთ ბლომად აქვთ საკუთარი ნადელები და საბალახოები, ისინი ყოველ წლივ ხაზინიდან ბლომად იღებენ იჯარით სახაზინო საბალახოებსაც თავის სოფლების ახლოს; შემდეგ კი, გაზაფხულზე, ამ ადგილებს საოცარ ძვირფასად უთმობენ თუშებს, ამასთანავე საიჯარო ფასს ყოველ წლივ უმატებენ. უკანასკნელ ხანებში იჯარით ჩარჩობამ უმწვერვალეს სიზღვარს მიაღწია. ადგილობრივ მცხოვრებთ ხაზინიდან იჯარით გაქვთ მათ-ძუის სრულიად ზედმეტი მიწა, ამრიგად ისინი მეტ შუამავლებად ხდებიან. ხაზინას თითონვე შეეძლო სახაზინო საბალახოების გადაცემა თუშებისათვნს, რომლებისათვისაც უმჯობესია ორად მეტი გადაუხადონ ხაზინას. ვიდრე ყარსის ოლქის ადგილობრივნი მკვიდრნი აძლევენ. მეორეც ისა, რომ საერთოდ თუშებს, შედარებით გარეკილ ცხვარის რიცხვთან, ყარსის ოლქში ძლიერ ცოტა საბალახოები აქვთ, რის გამოც ისინი იძულებულნი ხდებიან ყოველ წლივ შეამცირონ მეცხვარეობა და გარდა ამისა დასტოვონ სამშობლოში ფარის ერთი ნაწილი. ამიტომ სახელმწიფოს ინტერესების მხრივ ფრიად სასურველია მოწესრიგებულ იქმნას საძოვრის საკითხი ყარსის ოლქში. საჭიროა ვრცლად იქმნას დაკმაყოფილებული თუშიმეცხვარეები საბალახოებით, ყარსის ოლქის იმ გორებზე, სადაც შეუძლებელია ხვნა-თესვა და მეურნეობა. საჭიროა გამოიყოს და სამუდამოდ განწესდეს თუშ-მეცხვარე მესაკუთრეთათვის განსაზღვრული რიცხვი დესეტინისა საბალახოდ. ამ ღონისძიებით, უეჭველია, ხელი შეეწყობა თუშების მეცხვარეობას, რომელიც მათს ეკონომიურ სიძლიერეს შეადგენს; აგრეთვე ამას დიდი სარგებლობა მოჰყვება სახელმწიფოსათვის, როგორც მატერიალურად, ისე კულტურულად. დასასრულ ცხვრის გადარეკის საქმე ტფილისის გუბერნიიდან ყარსის ოლქში და უკან, მაისიდან დაწყებული სექტემბრამდე უსაშველოა: გზის პირად მდებარე სოფლები თუშებს ახდევინებენ განსაკუთრებულ ბაჟს, რომელიც ყოველ ეს ცხვარზე 3 მანეთამდე ადის. ამ რიგად მდიდარ თუშს, რომელისაც 20,000 სული ცხვარი ჰყავს, გარდა ვეებერთელა საბალახო გადასახადისა, უხდებათ აგრეთვე საგანგებო ხარკის გადახდაც, რომლიც დაწესებულია თვითნებობით გადასარეკი გზების პირად მდებარე სოფლების მიერ.

ყველა ეს გაჭირვება და შევიწროება უნდა გადაიტანონ თუშებმა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთად-ერთ საღსარს მათი არსებობისას მეცხვარეობა შეადგენს, რაც ნაანდერძევი აქვთ მათ მამა-პაპათაგან. თუშები ამბობენ: „როგორც თევზი უწყლოდ, ისე ჩვენც სრულიად დავიღუპებით უსაძოვროდ ჩვენის ცხვრებისათვის“-ო. მართლაც, თუშებს სული ეხუთებათ საბალახოების თან და თანობით შევიწროების გამო. მათ ესაჭიროებათ მხოლოდ გორების ის მწვერვალები, სადაც ხვნა-თესვა შეუძლებელია; „ჩვენთა, ამბობენ თუშები, ხაზინას, რა ფასიც უნდა იყოს, გადაუხდით, მხოლოდ არა ჩარჩებს; მხოლოდ ეს საბალახოები ჩვენ ხანგრძლივი ვადით გადმოგვეცესო, მაშინ ჩვენ დამშვიდებული დავბრუნდებით შემოდგომაზე შინ, სამშობლოში; გაზაფხულობით კი ისევ გავსწევთ ჩვენ ძვირფას „სახეტიალოსაკენ“, საითკენაც ჩვენი მამები და პაპებიც მიემგზავრებოდნენ, ოსმალთა მფლობელობის დროს, როდესაც ყარსის ოლქი ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრებში იმყოფებოდა. ჩვენ დავლოცავთ ბედს—ოდესაც ზემოდ-აღნიშნულს, ფრიად საჭირო თხოვნას შეგვისრულებენო“.

მართლაც, სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს თუშ-მეცხვარეებს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მათს ადვილად შესასრულებელ თხოვნას. წინაღმდეგ შემთხვევაში, სრულიად დაიკარგება მათი მეურნეობა, რომელიც ეხლა ფასობს სულ მცირე 5 მილიონ მანეთს. თუ კი ვიფიქრებთ, რომ ყოველი სანაშენო ცხვარი და ვერძი ღირს თითო თუმნად. თუშებს კი 600,000 სული ცხვარი ჰყავთ. **ბორის ესაძე.**

უგანათლ. თავადის უჩა დადიანის საქმე*)

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

შემდეგ დაჰკითხეს კონვოის აფიცეს პოლკოვნიკს ლოგვინოვს, თავ. ლ. დადიანს, ჩაჩიბაიას, თავ. ალ. ფალავას, ქავთარაძეს, ფიჩხაიას, სასტუმროს პატრონს ტფილისში, ვეტიცელს, იმავე სასტუროს შვეიცარს ლარიონოვს, იქვე ხელზე მოსამსახურეს მალკვსკის. ამათ საყურადღებო მაინც და მაინც არა უთქვამთ რა.

პოლკოვნიკმა **ლოგინოვმა** სთქვა: ჩვენ, ამხანაგები, უჩას ყოველთვის ვაქებდით და რაინდად ვიცნობდით. პირ და პირი კაცია, ამასთან სამაგალითო მსროლელი. ერთხელ დუელი ჰქონდა. სეკუნდანტად ვიყავი. შეეძლო პირველს ესროლა, მაგრამ არ იკადრა და მოწინააღმდეგეს ასროლინა. მაინც მაგან დასჭრა ფეხში. ზურგს უკან მოქმედება უჩას არ შეუძლიან.

მკითხველებს ეხსომებათ ალბად, რომ მოწმემ თავ. თენგიზ ერისთავმა განაცხადა: ქუდი დავხურე უჩას, ხელი ვკარი და გარედ გავაგდეთ. ამაზე ჰკითხეს პოლკოვნიკს და სთქვა, —ვერ წარმომიდგენია, რომ ვინმეს ხელი ეკრას უჩასთვის და მას იქვე არ აეჩეხოსო.

დიდ ხანს ჰკითხავდნენ თავ. ფალავას. ამ ფალავასთვის უჩას ის რევოლვერი უჩუქებია, რომლითაც საბრალმდებლო ოქმით, დადიშქელიანი მოჰკლეს. ფალავას სადღაც ყავახანაში ნარდის თამაშობის დროს ფული წაუგია და იძულებული გამხდარა რევოლვერი გაეყიდნა.

22-ს საღამოთი ყველაზე ბოლოს დაჰკითხეს განსვენებულ ალექსანდრეს ქალიშვილებს ნინოს და ეკატერინეს, აწ ბარონის ფონ ისკულის მეუღლეს.

ნინოს დიდ ხანს ჰკითხავდნენ ვითომ მოწამლულ ჩაის შესახებ ჯანსულ დადეშქელიანი და სხვები ამბობდნენ—ნინომ გადმოგვცა ეს ამბავიაო. ნინომ სთქვა—არავითარი მოწამლული ჩაი არა ყოფილა, მღვრიე იყო ყველა ჭიქა რაც ამ საღამოს დავასხი და მეც ავიღე და გადავღვარეო. მაშინ მოწამვლაზე არავის არაფერი უთქვამს, მხოლოდ შემდეგ, როდესაც მაძაჩემი მოჰკლეს ხმა გავრცელეს—მოწამლული ჩაი იყოო. ვექილების კითხვაზე—როგორი ურთი-ერთობა ჰქონდა უჩასა და ალექსანდრესაო, სთქვა, კარგიო, ხოლო ალექსანდრე და ოთარი ხმას არა სცემდნენ ერთმანეთსო. ვექილისავე კითხვაზე განაცხადა,—ბიძები არ გვეხმარებოდნენ, ერთხელ მოგვცეს ათი თუმანი და გვითხრეს, მამა თქვენს არა დარჩენია რაო. ამას დაუმატა—ერთხელ ოთარმა დაგვიბარა და გვითხრა—ურჩიეთ დედა თქვენს სთქვას, რომ უჩამ და კატო ერისთავმა მოაწყეს მკვლელობაო.

ეკატერინეს, განსვენებულ დადეშქელიანის მეორე ქალიშვილს, ბარონის მეუღლეს, დიდხანს მოუხდა ლაპარაკი. არც ერთ მოწმეებს დამსწრეებზე ისეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორც ამან მოახდინა. თვით მკვლელობაზე ამ მოწმეს ბევრი არაფერი უთქვამს. სხვათა შორის სთქვა,—საავადმყოფოში რომ მივედი და მამაჩემი მოკლული დავინახე, ვიღაცას, აღარც-კი მახსოვს ვის ხანჯალი ავართვი და თავის მოკვლა მოვინდომე, შემდეგში ხმა გაგდეს, ვითომ უჩას მოკვლა მინდოდა. სხვა ხმებიც გაავრცელეს, უმთავრესად დედაჩემზე. ამ ხმებს ერისთავები ავრცელებდნენ, ანნა და თენგიზი. 25 მარტს დედა ჩემი დაამატიმრეს. ვთხოვდით ოთარს, თავმდებობით გაენთავისუფლებინა. გვითხრა მაშინ გავანთავისუფლებ, თუ იტყვის, რომ მკვლელობა უჩამ ჩაიდინაო. ერთხელ გამომძიებელთან მიველ, დედის სანახავად ნებართვის ქალაღდი მინდოდა ამედო. იქაც ეს მითხრეს. გამომძიებელმა კანონის წიგნი გადამიშალა და ალბად დასაშინებლად მითხრა — აი, კატორგა მოელის დედაშენს, თუ უჩა არ გასცაო. „მოწამლული ჩაიზე“ ამ მოწმესაც დიდ ხანს კითხავდნენ, უმთავრესად პროკურორი. ეკატერინემ სთქვა: მე მაშინ იქ არ ვიყავი, მაგრამ, ნამდვილად ვიცი, რომ არავითარი საწამლავი არ იყო ჩაიში, მღვრიე იყო მხოლოდაო.

— განა მღვრიე ჩაიზე ამდენი ლაპარაკი შეიძლება?—სთქვა პროკურორმა.

— არც ყოფილა ლაპარაკი,—მიუგო მოწმემ,—მხოლოდ შემდეგ ერისთავებმა გაავრცელეს ჭორი.

— მაშ გამოდის, რომ ერისთავებმა ჩაყარეს საწამლავი. ეს არის ეხლა არა სთქვით, საწამლავი იყო შიგნო.

პროკურორის ამ სიტყვებმა ყველანი გოცა. ხელად ვექილები ფეხზე წამოიჭრნენ, ძთელ დარბაზში სტვინვა გაისმა.

— უკაცრავად, მე ალბად კარგად ვერ გავიგონე,—სთქვა პროკურორმა.

ვექილების კითხვაზე, რით ირჩენდით თავსაო, ბარონის მეუღლემ განაცხადა: დიდ გაჭირვებაში ვიყავით, პირველში ჯანსუღმა ასი მანეთი მოგვცა, ხოლო ოთარმა—45 მანეთი ეს იყო და ეს. ბევრჯელ ვთხოვეთ, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს. ჯანსუღს ხუთჯერ მოვწერე წერილი, მაგრამ პასუხი არ გაუცია. მთელ ოჯახს მე ვინახავდი, ვმასწავლებლობდი, დილიდან საღამომდე ვმუშაობდი. ერთ ხანს ჩემი ყრუ-ძუნჯი ძმა ბიძა-ჩემთან სკოლოვრობდა, მაგრამ ტანისამოსსაც-კი არ აცმევდნენ: დაგლეჯილ-დაფლეთილი დადიოდა. ერთხელ ფურნესთან გავიარე და მეფურნემ სამი აბაზი მთხოვა. თქვენი ძმა მშიერი მოდიოდა და მე ვაჭმევდიო. ასე იყო ქუთაისში კავკავში რომ გადავედით, ადგილი ვიშოვნე კანტორაში. მერე გავთხოვდი და მას შემდეგ ჩემი მამამთილი ეხმარება მთელ ჩვენ ოჯახს.

მოწმეთა ჩვენება ამით დასრულდა ამ საღამოთი. თავადმა ოთარმა თავისი გაჭირვება—უვექილობა—აუწყა პალატას. ის გარემოება, სთქვა მან, რომ მე ვექილი არა მყავს, ჩემი მოწინააღმდეგეების ბრალია, მან სთხოვა პალატას, მიიღოს და შეუერთოს საქმეს ერთი საბუთის ქაღალდი, საიდანაც სჩანს, თუ რად დარჩა იგი უვექილოდ. პალატამ გაიცნო ეს ქაღალდი, მაგრამ არ მიიღო იგი.

ძეორე დღეს 23-ს გამოჰკითხეს მოწმეებს: დგებუაძეს, სახ. სათათ. წევრს ვარლამ გელოვანს, მომრიგებელს შუაძავალს თავ. აგიაშვილს, კანდელაკს, ფიჩხაიას, ზარნაძეს, კნ. ეკატ. ერისთავისას, ჩარეკოვისას, მხეიძეს, ცინცაძეს, (მამა იმ ცინცაძესი, რომელსაც მკვლელობას აბრალებენ) და სხვებს. აბალი ამათ არა უთქვამთ-რა. ცინცაძემ სთქვა, როდესაც დადიანი მოჰკლეს, ჩემი შვილი ტყეში მუშაობდაო. ესევე დააამოწმა შვიდმა სხვა მოწმემ.

24 დილით ჩვენება ჩამოართვეს მარტო ერთ მოწმეს, განსვენებულ ალექსანდრეს შვილს თენგიზს დადიშქელიანს. თენგიზი ავად იყო ამ დღეს და ძალიან უძნელდებოდა ლაპარაკი.

შემდეგ წაიკითხეს იმ მოწმეთა ჩვენებანი, რომელნიც ვერ გამოცხადნენ. პატარა ინციდენტი მოხდა ცხონდიას წერილის წაკითხვის

შემდეგ ცხონდიას სხვა საქმის გამო კატორგა აქვს გადაწყვეტილი, ამ საქმეში წინად მოწმედ ყოფილა დაბარებული და დადიანის წინააღმდეგ უჩვენებია. შემდეგ ზემოხსენებული წერილი გაუგზავნია საპყრობილიდან თენგიზ დადეშქელიანისთვის. სწერდა: მაშინ ტყუილი ვთქვი და ეხლა ვეღარ ვიტყვი ტყუილს დადიანზეო. ამის საწინააღმდეგოდ თენგიზ ერისთავმა სთქვა ეხლა კავკავში რომ ირჩოდა საქმე, მოწმეთა ოთახში ცხონდიამ მითხრა, რომ ის წერილი ჩემდა უნებურად დავწერე, რადგან ზოგიერთები ჩამაცივდნენო. თავ. ოთარმაც სთქვა, იმავე კავკავში შემთხვევით შევედი მოწმეთა ოთახში მოცოცდა ჩემთან ბორკილებ გაყრილი კაცი, სთქვა, ცხონდია ვარო და სინანული განაცხადა წერილის დაწერის გამოო. როდესაც თავ. უჩამ რამდენიმე კითხვა მისცა, ოთარმა დაუმატა: მე დანამდვილებით ვიცი, რომ ცხონდიას წერილი ორი ვექილის ნაოსტატევია, რომელნიც ამ ჟამად აქა სხედანო. ამან ვექილების სკამებზე ერთი აური-ბაური გამოიწვია. ჩაეკითხნენ და ოთარმა სთქვა —ეს ვექილები ფალავა და ესსენიაო.

— სიცრუეა!—დაიძახა ესსენმა.

— მე ვაჩვენებ მაგას!—დააყოლა ფალავამ.

თავ. ოთარის სიტყვები ოქმში შეიტანეს. ოთარს, როგორც თითონ განაცხადა, ცხონდიასაგანაც მიუღია წერილი ციხიდან, მაგრამ სახლის გაქურდვის დროს ისიც წაუღიათ. ამ წერილზე ლაპარაკის დროს თავ. ოთარმა სთქვა: თუმცა მცხვენიან რომ ამას ვამბობ, მაგრამ მაინც უნდა გამოვტყდე, რომ საპყრობილიდან ტუსაღებისაგან წერილები მეც მომდიოდაო.

მუშათა ცხოვრება

საპროტესტო გაფიცვები მოსკოვში. მოსკოვში მოწოდება გავრცელდა მუშებს მორის. მოუწოდებდნენ მუშებს, მუშათა პრესის დევნის გამო პროტესტი განეცხადებინათ და ერთი დღის გაფიცვით აღენიშნათ თავიანთი თანაგრძნობა გაფიცულ ტრამვაის მუშებისადმი. სხვა და სხვა ქარხნისა და სტამბის გაფიცულ მუშების რიცხვი 20 ათასამდე ავიდა. მუშებმა ბევრ ადგილას დემონსტრაციები და მიტინგები გამართეს. მღეროდნენ სარევოლუციო სიმღერებს და პოლიციის მოახლოვებისას იშლებოდნენ. ტვერის ბულვარზე თავი მოიყარეს სტამბის მუშებმა და გეამართნენ გაზეთების იმ სტამბებისაკენ, სადაც „რუსკოე სლოვო“, „უტრო როსიი“ და „გაზეტა კოპეიკა“ იბეჭდება და ყველგან მუშებს ხელი ააღებინეს მუშაობაზე. ვნების ბულვარზე დემონსტრანტებს პოლიციასთან შეტაკება მოუვიდათ. ერთმა მუშამ ბოქაული წააქცია. პოლიციელებმა რამდენიმე მუშა დაატუსაღეს. მუშები უკმაყოფილო არიან ამ მუშის მოქმედებით, რადგან მისმა მოქმედებამ მეტად გაამწვავა გაფიცვის საქმე. მეფაბრიკეებმა დაადგინეს: მუშებს ერთი დღის ჯამაგირი დაუჭირონ.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. ორ ოქტომბრისთვის დანიშნული წარმოდგენა,—**„წმინდა ანტონის სასწაული“** ექვსი ოქტომბრისთვის გადაიდო.

ქართული თეატრი.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასმა ხუთშაბათს, 29 სექტემბერს წარმოადგინა ნეპოტის სამოქმედებიანი პიესა „დედაკაცი და დედა“, თარგ. სანდალასი. პიესა შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე, თუმცა გაქიანურებულია და მელოდრამატიული ელფერი დაჰკრავს. ავტორს აღუძრავს საკითხი დედისა და ქალისა: ნება აქვს თუ არა შვილს მოითხოვოს დედისაგან, რომ მან შვილების გულისათვის დედის მოვალეობას შესწიროს ქალობა, ჩაიკლას გულში ქალური გრძნობანი; ამ საკითხის გადაწყვეტა ბევრს ავტორს მოუწადინებია; პოლ ბურჟეს მშვენიერი მოთხრობა აქვს „შვილი“, რომელშიაც იგი უარყოფს დედაკაცის უფლებას დაქვრივებულ დედის ცხოვრებაში; ხეპოტს კი ეს საკითხი წინააღმდეგ გადაუწყვეტია. მისი აზრით, არავითარი უფლება არა აქვს შვილს მოითხოვოს დედისაგან ქალობის მსხვერპლად შეწირვა; დედას სრული ზნეობრივი უფლება აქვს თავის ქალურ გრძნობებზედაც იფიქროს და, თუ დასჭირდა, უპირატესობაც მას უნდა მისცეს.

კვანძი პიესისა სრულიად უბრალოა და მარტივი. ანნა ვილლიარეს (დავითაშვილის ასული) შვილი რიშარ ბურდანი (იმედაშვილი) დაშორდება დედას და ოჯახს, რადგან ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ მამის გარდაცვლის შემდეგ დედა ხელმეორედ მისთხოვდა ვილლიარეს (არადელი-იშხნელი) იგი სამოგზაუროდ წავა და მხოლოდ რვა წლის შემდეგ ბრუნდება. შინ. რიშარ ბურდანის მამა რესპუბლიკანელი იყო, რიშარიც ამ პრინციპით აღიზარდა, ვილლიარე კი კათოლიკეა და ოჯახში შემოიტანა თვისი პრინციპები. რიშარის ძმას ჟორჟსაც იეზუიტების სკოლაში ზრდის. ანნა ვილლიარეს გერები კარგად ეპყრობიან მაგრამ რიშარი ვერ შეეგუა მათ. ამ წიადაგზე დიდი განხეთქილება ხდება ერთი მხრით ორი შვილისა და მეორე მხრით ვილლარესა და მისი შვილების შორის. რიშარმა მოიწადინა ძმის ჟორჟის იეზუიტების სკოლიდან გამოყვანა, მაგრამ ამის წინააღეუდგა ვილლიარე. მათ შეტაკება მოუხდათ და საკითხის გადაწყვეტა დედას მიანდეს. დედა ცუდს მდგომარეობაშია და ძლიერ სულიერ ტანჯვას განიცდის. თუ შვილს მიემხრო, საყვარელ ადამიანს მეორე ქმარს—უნდა გასცილდეს, არა და—შვილის მოშორებაც ეძნელება. ამ მდგომარეობიდან იგი გამოიყვანა ერთმა შემთხვევამ. რიშარს, მამის სიცოცხლის დროს, უყვარდა ელენე, ახალგაზდა ქალი, ბურდანებისა და ვილლიარების მეგობარი. მაგრამ, როდესაც რიშარი სამოგზაუროდ წავიდა, ეს კავშირიც შესწყდა და ელენე სხვას მისთხოვდა, თუმცა, რიშარი ძლიერ უყვარდა. ეს მისი სიყვარული ქმრის გარდაცვალების შემდეგაც დარჩა. ვილლიარესთან განხეთქილების შემდეგ რიშარსა და ელენეს შორის გულახდილი საუბარი მოხდება. რიშარი კვლავ გაიხსენებს ძველ სიყვარულს, ელენე უარს ეუბნება ცოლად გაყოლაზე, რადგან „დედა ვარ და ჩემს მოვალეობას შვილისადმი არ დავივიწყებო“. იგი მიუთითებს რიშარს ამ უკანასკნელის დედის მდგომარეობაზე: ასეთი ხართ შვილები, გინდათ, რომ დედებმა ანაცვალონ თავისი ქალური გრძობანა შვილებს და მეც ასე უნდა მივიქცეო“. ეს სიტყვები გამოარკვევს რიშარს და ყველ-ფერი კეთილად სრულდება.

იმედაშვილი თითქმის უნაკლო იქნებოდა, რომ დრამატიზმით სავსე მომენტებში მისთვის სახის გამომეტყველებას არ ეღალატნა. ქ-ნმა ჭიჭოძის ასულმა საუცხოო სინაზის ქალის ტიპი განასახიერა, მაგრამ ესაჭიროებოდა მეტი გრძნობა. შარშან ვუსურვეთ ამ მსახიობს დიქციის გაუმჯობესება, მაგრამ წარმატება არ ეტყობა. ნ. დავითაშვილის ასულმა პირველ მოქმედებაში ერთ ადგილას წაიბორძიკა და ამან იმდენად იმოქმედა მსახიობზე, რომ პირველი მოქმედება უფერულად ჩაატარა; მხოლოდ მეორე და მესამე მოქმედებაში კარგი იყო, განსაკუთრებით დრამატიზმით სავსე მომენტის დროს, როდესაც უნდა არჩევანი მოახდინოს საყვარელ ქმრსა და შვილს შორის. როდესაც პირველი ქმრსი შვილები იგონებენ განსვენებულ მამას ქ. დავითაშვილის ასულს მეტი სულიერი ტანჯვის გამოსახვა ესაჭიროებოდა. არადელმა-იშხნელმა ვილლიარეს კარგი ტიპი დასახა; ბოლომდე მთლიანმა დაკვირვებულმა თამაშმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა; მხოლოდ სახეს აკლდა ხოლმე შესაფერი მოძრაობა. გარდა ამისა, როგორც იშხნელი, ისე სხვა მსახიობებიც რეპლიკებს აგვიანებდნენ ჭ უხერხული პაუზები ჩნდებოდა: არ გვინდა ეს გარემოება როლების უცოდინარობას მივაწეროთ, თუმცა ასეთი შთაბეჭდილება კი იყო. ტ-ბა შიძის ასულის ბუნებრივმა ცოცხალმა თამაშმა ფრიად გვასიამოვნა, თუმცა ასეთ მსახიობს არ ეპატიება სიტყვებისა და ზოგჯერ მთელი ფრაზის გადაქართულება. ხონელს ესაჭიროება უკუგდება „მანერული“ თამაშისა, რაც ნაძალადეობის შთაბეჭდილებას სტოვებს. ტიპიური იყო ბარველი მოხუცი მებაღის ბალეშის როლში.

ამ საღამოს პირველი გამოსვლა იყო დრამატიული საზოგადოების კურსების მოწაფის ქ-ნ თოიძის ასულისა. ვუსურვებთ გამარჯვებას, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სცენაზე თავი თამამად უჭირავს ჭ ცოცხლადაც თამაშობს; მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი, ძლიერ ბევრი შრომა დასჭირდება და უმთავრესად მიხვრა-მოხვრისა, დიქციისა და მიმიკის მხრით. ქ-ნი თოიძის ასულისათვის ასეთი პასუხ-საგები როლის დაკისრება ჩვენ შეუფერებლად მიგვაჩნია. მშვენიერი იყო პაწაწა 6—7 წლის მედეა—ქორელი, რომელიც ბონბანერით დაასაჩუქრეს.

პიესა მხატვრულად იყო დადგმული, მაგრამ წვრილმანებს მეტი ყურადღება ესაჭიროება. მაგალითად, თოიძის ასულის წაბლის-ფერ თმაში ჩახლართული ჰქონდა ქერა თმა, რაც ნათლად სჩანდა. **მელანი.**

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტოსაგან).

30 სექტემბერი და 1 ოქტომბერი.

უცხოეთი.

სტამბოლი. „ტონინი“-ს სიტყვით საკითხი დასავლეთ ფრაკიის შესახებ და დროებითი მართველობის შემოღებისა გიუმლჯინში გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ბულგარეთის მთავრობა თანახმაა, დაინიშნოს მოხელეებად მუსულმანები. გერმანიის სამხედრო მისიამ მოხსენება წარუდგინა ოსმალეთის მთავარ შტაბს, რომელშიდაც მოხსენებულია ოსმალეთის ჯარის დამარცხებანი და ომის მიზეზები. მისია ურჩევს ოსმალეთს, ყოველი ღონის ძიება იხმაროს და მიღოს ჯარის გასაუმჯობესებლად.

ოფიციალურად გამოცხადებული დემობილიზაცია. განხორციელებულია მხოლოდ მცირე ნაწილში თვალსაჩინო ნაწილი ჯარისა საკმაოდ შეიარაღებული გაიგზავნა აზიის ნაპირებზე გუშინ საღამოს ს. მირნის ვილაიეტში გაიგზავნა 4,000 ... კაცი. დასასვენებლად დათხოვნილთ მხედართ, რომელნიც იმყოფებიან დემოტიკესთან, ბრძანება მიიღეს შეუერთდნენ გალიპოლის ჯარს. პრესა განაგრძობს საბერძნეთის წინააღმდეგ წერას. უთითებს მთავრობას. მუსულმან მცხოვრებთა დამცირებაზე მაკედონიაში. საბერძნეთის მთავრობის მიერ.

ბელგრადი. სერბის მთავრობამ ბრძანება მისცა ჯარს, შეაჩეროს ალბანეთში ადგილების დაპერა.

ლონდონი. რადიო ტელეგრამა ორთქმავალ „გროსსერ-კიურფიუსტიდან“ იუწყება, რომ ცეცხლი „ვოლტურნოზე“ გაჩნდა 26 სექტემბერს დილის 7 საათზე, პირველი აფეთქების მსხვერპლი იქმნა 50 კაცი, და უფროსი „ვოლტურნოსი“. როდესაც მოხდა მეორე აფეთქება „გროსსერ კიურფიურსტმა“ ჩაუშვა მისაშველებლად სამი ფილუკი და გადაარჩინა 32 კაცი, რომელნიც გადმოყრილნი იყვნენ ზღვაში. მგზავრები მეგროვდნენ „ვოლტურნოს“ უკანა მხარეში. და ჩამოყვანილ იქმნენ ხუთშაბათს.

სამსახურს თავი დაანება მთავარმა მოსამართლემ ლორდ ალვესტონმა, მის ადგილს დაიპერს სერ რუფოვსაიზბსი.

ტრიესტი. ვერდის დაბადების ასი წლის თავზე დემონსტრაციები მოხდა. დაატუსაღეს 10 კაცი.

სოფია. გამოქვეყნდა ბრძანება სახალხო კრების დათხოვნის და ექვსი თებერვლისთვის ახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე.

რომპოტა. წყალმა ალოაცურა ინჟინერ დიზელის გვამი. ტალღებმა დიზელის გვამი წაიღეს.

სიმლა. მაკმაგონის თავმჯდომარეობით დაიწყო კონფერენცია ტიბეტის საქმეების გამო.

ბელგრადი. გაიხსნა ჩვეულებრივი სესია სკუშჩინისა, ამორჩეულია წინანდელი პრეზიდიუმი.

სოფია. პარასკევს, ბულგარეთის ჯარი დაიპერ-ს იმ ნაწილს ფრაკიისას, რომელიც ხელშეკრულების ძალით მას ხვდა.

ბერლინი. სასამართლოში განიხილეს საქმე, ფელდფებელის ლინდესი, რომელსაც აბრალებდნენ კრუპპესთან საიდუმლო მიწერ-მოწერას, სამხედრო საქმეების შესახებ. ლინდე დანაშაულში გამოტყდა. სასამართლომ მას მიუსაჯა ოთხი კვირით დაპატიმრება.

ურგა. გაიხსნა პირველდაწყებითი სკოლა, რომელსაც ინახავს საზოგადო მართველობა და რუსების კოლონია. სკოლაში ისწავლიან ვაჟები ჭ ქალები სხვადასხვა ეროვნებისა, პროგრამაში შეტანილია გიმნასტიკა. და სლავიანური საეკლესიო გალობა მართლმადიდებელთათვის; მოწაფეთა რიცხვში არიან თათრები და სხვები.

ჰავრი. „ვალტურნოზე“ გადაანარჩინეს 12 რუსი, 16 ავსტრიელი, 7 გერმანელი, 2 ჰოლანდიელი, თითო იტალიელი და რუმინელი ერთიც, რომლის ეროვნება არ იციან.

კარდიფი. „უნივერსალის“ მაღაროებში აფეთქება მოხდა, დაიღუპა 6 კაცი 327 გადაარჩინეს. მაღაროში 700 კაცი მუშაობდა.

სპელო (უმბრია) ეკლესიიდან პენტურიკიოს მადონა მოიპარეს, რომელიც 80 ათასი ლირი ღირდა. დაატუსაღეს მღვდელი.

რუსეთი.

პეტერბურგი. პროექტი 1914 წ. საერთო ხარჯთ-აღრიცხვისა. სახელმწიფო შემოსავალი: ჩვეულებრივი: პირდაპირი გადასახადები 264,507,384 მ., არაპირდაპირი—709,167,400 მან., ბაჟები—232,436,700 მ., მთავრობის რეგალიები,—1,069,450,750 მ., სახაზინო ქამულები და კაპიტალი—1,111,805,142 მ. სახაზინო მამულების ჩამორთმევისაგან—1,925,280 მ., გამოსასყიდი გადასახადები—944,900, ხაზინის ხარჯების გასანაღდებელი—116,635,797, სხვა და სხვა შემოსავალი 14,823,929 მან., სრულად ჩვეულებრივი შემოსავალი—3,521,697,282 მან.

2. საგანგებო რესურსები: სახელმწიფო ბანკში შეტანილი თანხა—1,400,000 მან., უკან დაბრუნებული სასურსათო თანხა—12,000,000 მან., მთელი საგანგებო რესურსები—13,400,000 მ. თავისუფალი თანხა სახელმწიფო ხაზინისა 23,164,217 მან. სულ 3,558,261,499 მან.

სახელმწიფო გასავალი: ჩვეულებრივი: სასახლის სამინისტრო—16,259,595 მ. უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებს—8,667,051 მ. უწმინდესს სინოდს — 52,914,725 მან. სამინისტროებს: შინაგან საქმეთა — 206,845,790 მანეთი, ფინანსთა — 494,523,421, იუსტიცი-

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 1006

ისას—105,127,399, გარეშე საქმეთა—7,745,977, განათლების—161,629,822, გზათა—739,938,479, ვაჭრობისა და მრეწველობისას—71,610,525, მიწათ-მოწყობის მთავარ სამმართველოს—157,688,669, სახელმწიფო ცხენების მომშენებელ სამმართველოს—4,593,470, სამხედრო სამინისტროს—599,135,711, ზღვის—250,397,540, სახელმწიფო კანტროლს—12,743,526, სახელმწიფო სესხის გადასახადები—402,812,804, ხარჯი არაჩვეულებრივი—10,000,000, ჩვეულებრივი გადასახადი სრულიად — 3,302,675,714, ჩვეულებრივი შემოსავალი მეტია გასავალზე—219,021,568. 2) არაჩვეულებრივი ხარჯები: რუსეთ-იაპონიის ომით გამოწვეულნი—435,000, სამხედრო უწყების სამეურნეო-საოპერაციო გადასახადი—125,420,000, ახალი რკინის გზები—110,324,485, რკინის გზებს სუბსიდიები — 1,406,300, ახალი ნავთ-სადგურების აშენებას და ძველების შეკეთებისთვის—18,000,000. მთელი არაჩვეულებრივი ხარჯი—255,585,785 მ. მთელი ხარჯი—3,558,261,499 მან.

პეტერბურგი. მფრინავი სამოსლო მოსკოვს მიჰფრენს. პორუჩიკი პავლეკოვი დილის 11 ს. 16 წ. აფრინდა საკომენდანტო ჰაეროდრომიდან მოსკოვში გადასაფრენად და იქიდან უკან დაბრუნდება რომანოვის პრიზში მონაწილეობის მისაღებად.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადებია მისცა გუბერნატორებს, დახმარება გაუწიონ ჰაეროგნავტებს, რომელნიც 29 სექტემბერს პარიზიდან რუსეთში მოფრინავენ, სფერულ შარებით გორდონ-ბენეტის პრიზში მონაწილეობის მისაღებად.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით 21 თებერვალს მანიფესტის ძალით დღევანდლამდე გაუნთავისუფლებიათ ორმოცა ათასამდე კაცი.

საათბიროს მომხსენებელთა გადასახლების ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე თათბირმა დაადგინა .შეეკითხოს მიწათ-მოწყობის მთავარ მართველს, რა მდგომარეობაშია ციმბირის დასახლების გეგმის შემუშავების საქმე და სასურველად სცნო კავკასიაში გადასახლება გაძლიერდეს, დასახელებულ იქმნას შავი ზღვის ნაპირები და იაკრძალოს რუსეთის საბალახო ადგილების დახვნა.

ბეილისის საქმე.

სტუდენტი გოლუბევი სასამართლოს უამბობს თავისი სურვილით ადგილის ორჯერ დათვალიერების ამბავს: ზაიცევისა და მარის ეზოებს შორის ღობის ფიცრები დამტვრეული იყო და ადამიანი ადვილად გადვრებოდა ფიცარსა ფიცარს შუაო. შემდეგ შეაკეთეს ღობე, რაც ახალ ლურსმებზე ეტყობოდაო. მარისა და ვერნერის ღობე ხევის პირას არის, და ღობეში საძრომი ადგილებიც არისო. თავისი აზრი მოწმეს მიშჩუკისათვის უცნობებია. მეორეჯერ დათვალიერებისას მოწმეს ზაიცევისა და ზახარჩენკოს ეზოებს შორის—ზახარჩენკოს სახლში სცხოვრობდა ჩებერიაკი—უნახავს ღია ჯიბეარი, ხოლო საძრომები არ შეუნიშნავს. მოწმე უამბობს სასამართლოს, თუ როგორ ეძიებდა თავის ნებით დამნაშავეთ. იორკოვიცაში ბავშვების გამოკითხვის დროს ჟენია ჩებერიაკს უთქვამს, 12 მარტს ანდრია ჩვენსა იყო, დილას მინდორში ერთად წავედით, შემდეგ დავბრუნდით იურკოვიცის ქუჩაზე, შევიარეთ ჩებერიაკთან, საცა ანდრიამ პალტო დასტოვა, დუქანში ქონისათვის წავედით, და მას შემდეგ ანდრიუშა დაიკარგაო. შემდეგ ჟენია გარბოდა და არაფერს ეუბნებოდა მოწმეს. ლიუდმილა ჩებერიაკს მოწმისთვის უამბნია: ბავშვები სცურაობდნენო, მენდელი მათ გამოეკიდა, ბავშვები გაიქცნენ. ანდრიუშა ხევისკენ გაიქცა, მას გამოედევნა მენდელი და ამის შემდეგ ანდრიუშა არ გამოჩენილაო. მოწმეს ნატალია უშჩინსკისაგან გაუგია, რომ მოკლულის დედას ხერსონიდან მიუღია წერილი ვიღაც „ქრისტიანი“-ს ხელმოწერილი. წერილის ავტორს ენახა ბავშვი, რომელიც ორ ებრაელს მიჰყავდა. ეს წერილი დამცველ პოლიციის უფროსს წარუდგინეს, რომელმაც დაკმუკნა და გადააგდოო. მოწმის სიტყვით, ანდრიას ბევრი ურია ეხვია გარს ვიდრე ანდრია დაიკარგებოდა, ბეილისი ერეკებოდა ბავშვებს, შემდეგ კი ბავშვებს კონფეტებსაც აჭმევდაო. ბეილისის დატუსაღებას დიდი შთაბეჭდილება ეოუხდენია მცხოვრებლებზე იურკოვიცაში გაიძახოდნენ: „ძლივს არ მიაკვლიესო“. გოლუბევი კატეგორიულად აცხადებს, რომ „ორთავიან არწივის“ საზოგადოებას პროკლამაციები არ გაუვრცელებია, რადგან მოწმეს, როგორც დაახლოვებულს მონარქიულ ორგანიზაციებთან, ეს არ გამოეპაროდა. მოწმეს სიტყვით, ბეილისი დიდად პატივცემულია ებრაელების შორის, რადგან ცადიკების გვარისაა. დობჟანსკი იკვეხნიდა, ამბობს მოწმე, ბავშვი ჩებერიაკისას მოკლესო. მოწმეები დაშინებული ჰყავთ ურიებსო. დასასრულ მოწმე აცხადებს, ამ საქმის ენერგიულად გამოძიებას იმიტომ შეუდექი, რომ ლიუგოსტანტესკის და სხვა ავტორის წიგნებმა დამარწმუნეს რიტუალურ ხასიათის მკვლელობის არსებობაში. ცადიკები და კასიდები ხმაროობენ ქრისტიანის სისხლს და ყოველი რუსის მოვალეობა იყო ხელი შეეწყო ბოროტ-მოქმედობის აღმოჩენისთვის, მით უფრო, რომ პოლიცია ხელს უშლიდა ნამდვილ ბოროტმოქმედთა აღმოჩენის საქმესო. გოლუბევის ზოგიერთი სიტყვები, ორივე მხარეთა შუამდგომლობის გამო, ოქმში. შეიტანეს. ორის ნახევარზე თავმჯდომარის განკარგულებით ექვსი ცხენოსანის თანხლებით დასათვალიერებელ ადგილას გზავნიან ბეილისს. 2 ს. და 10 წ. სასამართლო მიდის ადგილობრივ დასათვალიერებლად. დაათვალიერეს ჩებერიაკისა და ბეილისის სახლები, საცურავებელი ადგილი, შეეკითხნენ ხელახლა მოწმეებს: გოლუბევს, ვიშინსკის, დობჟანსკის და სხვებს. მოსამართლე იურკევიჩი ხმაურობს ჩებერიაკის ოთახში, დანარჩენნი ყურს უგდებენ გარედ. შემდეგ დაათვალიერებენ ღობეს, მიდიან ღვიმეში, ათვალიერებენ მინდორს, სადაც შახოვსკისა ესაუბრა ვოლკინის ქალს. შემდეგ დათვალიერეს ზაიცევის და მარის ეზოს შორის ღობე, რომელზედაც გოლუბევი ლაპარაკობდა. გოლუბევი განმარტებას აძლევს მხარეებს. საღამოს კრება არ მოხდა.

ზარუდნის შუამდგომლობა პროკლამაციის და ვიღაც „ქრისტიანი“-ს წერილის გამოქვეყნების თაობაზე სასამართლომ უარჰყო. გოლუბევს კვლავ შეეკითხებიან. შმაკოვის შეკითხვაზე მოწმე ამბობს, რომ მას ვიღაც ბავშვმა უამბო, ანდრიუშა ორ ებრაელს მიჰყვებოდაო. გრუზენბერგის შეკითხვაზე მოწმე ამავე სიტყვებს შესცვლის და ანდრიას თაობაზე კი არა ვიღაც გიმნაზიელზე ვამბობდიო. მოწმე ხახაროვა, რომელსაც მეტ სახელად ვოლკინას ეძახიან, ამბობს, სრულიად არაფერი ვიციო და თუ რამე დამთვრალმა მახოვსკის ელაპარაკა არ ახსოვს, ბავშვი კალიუჟინი ამბობს, მე დავესწარი მახოვსკისა და ვოლკინას საუბარსო. შახოვსკისა იმეორებს, ვოლკინა მაშინ ამბობდა, ანდრიუშა ვიღაც ბავ-წვერიან კაცმა ძალად წაიყვანაო.

განსაკუთრებულ მინდობილებათა უფროსი მოხელე კიევის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიისა, მორდერი, რომელსაც ებრაელების საქმე აბარია, ამბობს: 30 ოქტომბერს 1911 წ. ზაიცევის სახლში არსებულ თავ-შესაფართან სამლოცველოს გახსნა ითხოვესო. მორდერს ადგილის დათვალიერებისას შეუმჩნევია, რომ სინაგოგის გამართვა სურდათ. რუს მუშებს, რომელნიც აშენებდნენ თავშესაფარს, უთქვამთ, აქ ებრაელები სამლოცველოს აშენებენო. გენერალ-გუბერნატორმა სამლოცველოს გახსნის ნება არ მისცეო. თავშესაფარში ასი კაცის ადგილი იყო, და იქ მხოლოდ ოცი ბავშვი ჰყავდათო. მერდერი სასამართლოს შენობის გეგმას გადასცემს. როცა მოწამე ზაიცევის სამოსახლოდან ბრუნდებოდა, ბოკოულმა აცნობა, ზაიცევის სახლში სცხოვრობს ორი ცადიკი—ლანდაუ და ეტინგერიო. მოწმემ არ იცის, როდის წავიდნენ საზღვარ-გარედ ეს ებრაელები.

პოჩაევის ლავრის არქიმანდრიტი ავტონომი სასამართლოს უამბობს, თუ როგორ აწვალებენ ებრაელები ქრისტიან ბავშვებს, ასახელებს მოწამე გაბრიელს, რომელიც ებრაელებმა სტანჯეს, და დოკუმენტებს წარმოადგენს ებრაელების მიერ მეთვრამეტე საუკუნეში ბავშვების წამების თაობაზე. სამოქალაქო მოდავის წარმომადგენელი მოითხოვს დოკუმენტის საქმეში მიკერებას, ბრალმდებელი წინააღმდეგია. კარაბჩევსკი აცხადებს, ასეთი დოკუმენტები არ ვიციო. თავმჯდომარე უპასუხებს, მოწმემ დაასახელოო. „მერმე რაა, რომ დაასახელა?“ გაიკვირვებს კარაბჩევსკი. ზამისლოვსკი კარაბჩევსკის სიტყვებში სასულიერო პირის შეურაცხყოფას ხედავს და პროტესტს აცხადებს. დასასრულ მოწმე ამბობს, მიწამ რომ პირი გახსნას, მაშინ ბევრი ძვლები აღმოჩნდებოდა ურიების მიერ. ნაწვალებ ქრისტიანებისაო. მე თვითონ ებრაელი ვარ და ათის წლისა მოვინათლეო. სასამართლო უარს ამბობს არქიმანდრიტის დოკუმენტების საქმეში შეტანის თაობაზე. ზაიცევის ქარხნის მეეზოვე პაპჩუკი აჩვენებს, ბავშვები ხშირად ცურაობდნენ ეზოშიო, ბეილისი შეუყვირებდა და ისინი გაიქცეოდნენო. ბეილისთან შნერსონი მოდიოდა. შნერსონი წვერს არ ატარებსო. მარტში ახალ აგურს აღარ აკეთებდნენ, ძველებს ჰყიდნენო. 12 მარტს ქარხანაში მუშაობა იყო, შუშაობდა ემელიანოვსკის. დამცველები მოითხოვენ გაყიდულ აგურის დღიურ ანგარიშის გამოქვეყნებას, რის წინააღმდეგიც პროკურორია. ბრალმდებლის აზრით. დაწვრილებით იბეჭდება პრესაში ყველაფერი და ეს საშუალებას მისცემს ჯერ დაუკითხავ მოწმეებს საქმის მიმდინარეობას გაეცნონ, რაც მართლმსაჯულებისთვის საზიანოა. გრუზენბერგი უპასუხებს, სასამართლო ბეშმარიტებას ეძებს და არა პრესის აზრსო. სასამართლოს დადგენილებით, ანგარიშის ფურცლების შინაარსის გამოქვეყნება მოწმეთა შეკითხვის შემდეგ მოხდება. მოწმე გულკა აცხადებს, ზაიცევის ქარხანაში დავტოვე ინსტრუმენტები, რადგან სამუშაოს დამპირდნენო. ეს ინსტრუმენტები ჩხრეკის დროს წაიღეს და ეხლა მოწამეს აჩვენეს. და თავისად აღიარა. პირისპირ წაუყენეს მოწმეს პაპჩუკი, რომელიც აჩვენებს, გულკა თებერვალში ქარხანაში არ მუშაობდაო. მოწმე ბიკოვმა, რომელიც 14 აპრილიდან მეჯინებეთ იყო. ქარხანაში ცეცხლის გაჩენის თაობაზე ილაპარაკა. მოწმე ადასტურებს, ცეცხლი ხევიდან გაჩნდაო. მუშა ალექსეევი, რომელიც ქარხანაში მუშაობდა, აჩვენებს როცა მოკლულის გვამი იპოვეს, ის ბეილისის ბინის ქვეშ სცხოვრებდა. პროკურორი წინააღმდეგობას ხედავს მოწმის ეხლანდელსა და წინასწარ გამოძიების მიცემულ ჩვენებათა შორის. მოწმე ზასლავსკი ამბობს; მე აგურის გაკეთებას ვხელმძღვანელობდი, ბეილისი გაეზავნისა და ბიტოვიკი გაყიდვისასა მოწმის თანაშემწედ იყო ჩერნობილსკი. ნაფიც მსაჯულთა შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს, მუშებს ინსტრუმენტი თავიანთი ჰქონდათო. ბოქაული ვიშინსკი ამბობს, ვერნერის მოსახლობის ადგილი სრულებით გამოიცვალა, ხეები და ბუჩქები მოჭრილია მოწმემ არ იცის, ვინ ასჭრა ხეები. შნეერსონი კითხვებზე უპასუხებს: თივას ვვაჭრობდი, ბეილისთან ვსაუბრობდი, იუშჩინსკის ამბავი გაზეთებიდან გავიგე, გამოჩენილს ცადიკს შნეერსონს არ ვიცნობო. ანდრიას, ჟენიას და სხვა ბავშვებს არ იცნობდა. სცნობს ქარხანაში მომუშავე ებრაელებს. ბეილისს ძროხა არ ჰყოლია და რძეს ყიდულობდა. პირისპირ წარუდგენენ ერთმანეთს დობჟანსკისა და გოლუბევს. პირველს უნახავს გოლუბევი მღვიმესთან ამხანაგ ანტონოვთან ერთად, რომ ქეიფობდაო. დობჟანსკისთან მისულა სტუდენტი გოლუბევი და ერთი სტუდენტი ალაპარაკეს იუშჩინსკის თაობაზე. ანტონოვმა სთქვა, ბავშვი ჩებერიაკმა მოჰკლაო. მარგოლინს მოწმე არ იცნობს. გოლუბევი კატეგორიულად აცხადებს: დობჟანსკიმ სთქვა: „ბეილისი ჩემი ამხანაგია, მე მთავარი მოწმე ვარ, ვერ დასჯიან“. დუბოვიკი ამბობს, ებრაელებს ამ დროს არ უდღესასწაულნიათ. ზამისლოვსკი სასამართლოს მიუთითებს მოწმის მიერ მოყვანილ დატებს. ბორუხი ზაიცევი, ქარხანა პაპამ ებრაელთა საავადმყოფოს უანდერძაო. ეტინგერს და ლანდაუს იცნობს, ბეილისს არა. ეტინგერი კიევში იანვარში დაბრუნდება გალიციდანაო. ცადიკებისა და ხასიდების თაობაზე არა იცის-რა. ბეილისი ხმიადის გამოსაცხობად მოწმის განსვენებულ პაპის მამულში წავიდა. საავადმყოფოში ქრისტიან ბავშვებსაც იღებდნენო. გამოაქვეყნეს კაზაჩენკოს წინასწარ გამოძიების ჩვენება. მოწმე ამბობს, ბეილისის მოწინააღმდეგე მოწმეებისათვის საწამლავი ქარხანაში მზადდებაო. გამოაქვეყნეს აგრედვე ბეიღლისის წერილები. პირველ წერილში ბრალდებული ცოლ-შვილის ამბავს ჰკითხულობს. მეორე წერილი პუხალსკის შეუდგენია და ბრალდებულს ხელი მოუწერია. ისე, რომ წერილის შინაარსიც არ იცოდა. ბეილისი ამბობს, ზ ხარჩენკოსთან მას ლაპარაკიც კი არ ჰქონია მეფარნე ლიაგუშკას თაობაზე. ბრალმდებელი და სამოქალაქო მოდავენი მსაჯულთა ყურადღებას მიაქცევენ ბეილისის წერილის შემდეგ სიტყვებს: „ეს კაცი რომ არ ყოფილიყო მე დავიღუპებოდიო“ (ლაპარაკია კაზაჩენკოზე). ბრალმდებელი აღნიშნავს პირობითი ნიშნებს — ნულებსა და ჯვრებს—წერილში რომლითაც ბრალდებული საქმის მდგომარეობას აცნობებდნენ. გრუზენბერგი მოითხოვს კარგად დაიმახსოვრონ წერილის შემდეგი სიტყვები: „ულანაშაულოდ ვიტანჯვი რისთვის მტანჯავენ? თქვენ იცით, რომ არც ქურდი, არც ყაჩაღი, არც ვისიმე შემწუხებელი არა ვარ! ეცადეთ განთავისუფლებისთვის“. გამოაქვეყნეს პუხალსკის ჩვენება, რომელიც ციხეში ებრაელებთან ერთად იჯდა. კრებულ-ფურცლებისას ჩვენებას ჩამოართმევენ ციხის უფროსს კრუპსკის, რომელიც ამბობს, კაზაჩენკოს რომ წერილი წავართვით, ბეილისის ცოლს მიუტანეთ, ხოლო მთავრობის ნებართვით ასლი გადავიღეთ, რომელიც გამომძიებელს გადაეცა.

წერილი რედ. მიმართ

მათხოჯის წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი ანასტასია თვისი კრებულით მადლობას სწერავს მანგლისში მოვაჭრეს ბ. გრიგოლ გულარდოვს, რომელმაც 50 მან. შემოსწირა ხსენებულ მონასტერში წყლის გამოსაყვანად. იმედია, გულშემატკივარი მორწმუნენი მიბაწვენ ბ. გულარდოვს და მით შეძლებას მისცემენ ხსენებული მონასტერს დააგვირგვინოს დაწყებული საქმე.

ამასთანავე მადლობას ვუცხადებთ ბ. გრიგოლ იშხნელს, რომელმაც ამვე საქმეს შემოსწირა 20 მან.

მათხ. წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი **ანასტასია.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის, „სახალხო გაზეთის“ საშუალებით მადლობა გამოვუცხადო სოფ. ატენის მცხოვრებთ—სოლო და კოტე ჭიღლაძეებს, რომელთაც ჩემდამი რწმუნებულ წ. კ. გ. საზოგადოების ატენის სკოლას დახმარება გაუწიეს შეშით.

ატენის სკოლის მასწავლებელი **მ. მარკოზაშვილი.**

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით 15 მან. და 30 კ. აქაურ ქართველებში შეგროვილს და გთხოვთ გადასცეთ პოეტს ირ. ევდოშვილს. ამასთანავე ვუსურვებთ ჯანმრთელობას.

ილია ლობჟანიძე.

ალაგირი. 11 აგვისტო 1913 წ.

ჩვენი ფოსტა

ადესა. მ. იშხნელს. ჟენევიდან არჩილ ჯორჯაძის ძეგლისთვის ფული არ მიგვიღია.

ქუთაისი. ლადო ბზვანელს. თქვენგან მხოლოდ ორი წერილი მივიღეთ აკაკის მოგზაურობის შესახებ.

ჭიათურა. დ. მამათელს. ჭიათურიდან განსვენებულის არჩილის სახელობის ფონდისთვის არავითარი „საკმაოდ მოზრდილი თანხა“ არ მიგვიღია.

კიევი. კოწიას. თქვენი წერილი „კიევის გამოფენა“ ფრიად საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძლიერ დაგვიანებულია; ამის გამო არ დაიბეჭდება, ეცადეთ, დროზე მოგვაწოდოთ ხოლმე.

რედაქტორი **ა. ჯუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მატარებელთა მიმოსვლა (ზაჩხულობით)

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით)

ტფილისიდან ბაქოს.

ბაქოსაკენ: № 6, ჩქარი პლატკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლატკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამი 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასახ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, სახ. დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ფცხეთაში: № 65, სამგზარეკო დილ. 8 ს. 16 წ., № 67, **სახ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარელები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. 15 № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფაში: **საფ.** № 4, 3, შუადღ. 12 ს. და 9 წ.

ყარსისკენ: სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24, 23, **სამგზ.-სამგზ.** საღ, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოსლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასახადი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ექიმი **შ. ა. ფიძელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაკუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავანასოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. ბ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხეოვნებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
ვ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი სამბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, სამბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ვ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დ-რი ქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი **კბილისა ნინო რცხილაძე** **გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

მასწავლებელი
სიმ. ა. გრიაზნოვი
ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე, საფოსტიაქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.
ადრესი: ვერა, იზმაილოვის მისახვევი სახ. 6. ბინა 8.
584.

გამოცდილი სტუდენტი რეპეტიტორი **ფილოლოგი** ამზადებს მოწაფეებს სხვა და სხვა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის.
მოლაპარაკება შეიძლება „სასალხო გაზეთის“ რედაქციაში დილის 9 ს. 3-მდე.
1501.

ეძიებს ყველგან
მთავარი კანტორა და საწყობი
ვოგზლის ქუჩა № 2 რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
ტელეფონი № 14/68.
1512

ქ. შ. წ.-ქ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
შემდეგი წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები.

ივერარქია საქ. ეკლესიისა: კათოლიკ. და მღვდელ-მთავარნი, . 1 მ.
იზაშვილი პ. ქართ. კათოლიკენი, 10 კ.
ისტორია ქართ. ეკლეს.-გაზეთებისა, 15 „
პარიზის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართ. დიდი მოურავის ამბებით. 30 „
ეკორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქ. ისტ. და მწერლ. წ. 1-ლ 3 მ.
„ იგივე . წ. 2-ე, 3 მ.
რუსეთ დამყარება საქართველოში, 20 „
სტატისტიკ. ცნობები საქართველოს შესახებ მე-18 საუკ., . 2 მ.
ფრონელი ა. მთიულეთი. . 40 „
„ კახეთი ამბობება, 60 „
ქართლის ცხოვრება მარ. დედ. ვარ., 3 მ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მე-13-ტე საუკუნემდე, წ. 1-ლი, 40 „
იგივე . წ. 2-ე, 1 მ.
იგივე . წ. 3-ე . 40 „
ქვარიანი. საქარ. მოკლე ისტ. ყდით, 40 „

ახლად მიღებული წიგნები:
ზოლა „მაღაროებში მომუშავენი“,
ი. ავალიშვილის ნათარგმნი, 1 მ.
ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია მე-19 საუკ., . 1 მ.
იოს ყიფშიძე. Житіе и мученичество Св. Антонія Раваха. . 40 „
Н. С. Эсадзе, Первый генералъ-фельдцейхмейстеръ русс. артилл. при П. Великомъ царевичъ Имеретинскій Александръ Арчиловичъ. 70 „
ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის კომედია
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მივიღეთ საყინულე-მატარებლით
პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ამურის წითელი ხიზილალა |კეტოვი|, სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრესნიკა და სხვ.
აბრეშვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით ¼ ხმელი სოკო. 150

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
„მეგობრობა“,
ფასი 30 კაპ.
დრამა 4 მოქმედებ.